The influence of bentonite processing on clarification and stabilization of white wines of European and Kakhetian types has been studied. Bentonite clays (Askangele, Gumbrin) were used in the natural and modified forms, and also in a complex with gelatin widely used in winemaking for the purpose of pasting. It has been stated, that after processing, trade properties of the examined wine materials were improved. It especially concerns utilization of modified forms of bentonites together with gelatin, after processing with which wine materials reach "a crystal transparency" on formazine units and remain stable. After the appropriate processing bentonites can be used as excellent clarifying and stabilizing means.

### ВЛИЯНИЕ БЕНТОНитОВОЙ ОБРАБОТКИ НА ОСВЕТЛЕНИЕ И СТАБИЛИЗАЦИЮ БЕЛЫХ ВИНМАТЕРИАЛОВ

Шалва Джапаридзе, Владимир Долидзе, Шалва Шатиришвили, Бенедикт Церетели  
Грузинский государственный аграрный университет

#### РЕЗЮМЕ

Изучено влияние бентонитовой обработки на осветление и стабилизацию белых вин европейского и кахетинского типов. Бентонитовые глины (аскангель, гумбрин) использовали в природной и модифицированной форме, а также в комплексе с желатином, широко используемом в виноделии с целью оклеивания. Установлено, что после обработки товарные свойства испытуемых виноматериалов улучшаются. Это относится к использованию модифицированных форм бентонитов совместно с желатином. после обработки которыми виноматериалы достигают "кристальной прозрачности" по формазиновым единицам и остаются стабильными. После соответствующей обработки бентониты могут быть использованы как превосходные осветляющие и стабилизирующие средства.

**მანგანუმის ნაერთების გამოყენება ორბანული საღებრების შემცველი  
ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით**

რიმზეტ თუშურაშვილი, გენრიეტა შანიძე, მერაბ ფანჩვიძე, ციური ბასილაძე  
რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

დღესდღეობით ქ.თბილისში მძიმე ეკოლოგიური ვითარებაა შექმნილი, რაც გამოწვეულია სხვადასხვა სახის მავნე ნივთიერებების მოხვედრით როგორც ატმოსფეროში, ასევე წყალში. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს საქსოვ – სამღებრო მრეწველობის ჩამდინარე წყლები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ სხვადასხვა საღებრებს. ამ გზით წყალში ხვდება ორგანული, კერძოდ, არომატული ჯგუფის (ფენილი, ნაფტილი) შემცველი ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც განსაკუთრებით მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამდენად, ქ. თბილისის სამღებროების ჩამდინარე წყლების გაწმენდის საკითხი ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

ასეთი ტიპის წყლების გაწმენდის მიზნით ჩვენს მიერ წინა წლებში შესწავლილია ოზონური, რადიაციულ-ქიმიური და სხვა მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა. დადგენილია ამ მეთოდების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები [1, 2].

წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია “პირდაპირი წითელი 2C” საღებრის მოდელურ წყალხსნარებში მანგანუმშემცველი ნაერთების გამოყენება სამღებროების ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით.

ცდები ჩატარდა სხვადასხვა ხერხით მიღებულ და სხვადასხვა რაოდენობის მანგანუმის დიოქსიდის დამატებით 50 მლ 0.005% – ან “პირდაპირი წითელი 2C”–ს საღებრის ხსნარზე შემდგომი დაყოვნებით. ხსნარის გაუფერულების ხარისხის დადგენა ხდებოდა ფოტოკოლორიმეტრული მეთოდის გამოყენებით KΦK – 2-ზე. მიღებული შედეგები მოტანილია ცხრილში 1 და ნახაზებზე 1 და 2.


ცხრილი 1. “პირდაპირი წითელი 2C” –ს 0.005%–იანი ხსნარის გაუფერულების ხარისხის დამოკიდებულება დამატებული მანგანუმის დიოქსიდის რაოდენობაზე

№	რადიაციულად მიღებული MnO <sub>2</sub> , გრ	D 2 საათის დაყოვნების შემდეგ	გაუფერულების ხარისხი, %	D 23 საათის დაყოვნების შემდეგ	გაუფერულების ხარისხი %
1	0	0.95	0	0.95	0
2	0.1	0.48	50	0.19	80
3	0.2	0.27	71	0.06	94
4	0.3	0.17	82	0.045	95
5	0.4	0.10	89	0.04	96
6	0.5	0.09	90	0.04	96
№	ქიმიურად მიღებული MnO <sub>2</sub> , გრ	D 2 საათის დაყოვნების შემდეგ	გაუფერულების ხარისხი, %	D 23 საათის დაყოვნების შემდეგ	გაუფერულების ხარისხი %
1	0	0.95	0	0.95	0
2	0.1	0.42	55	0.18	81
3	0.2	0.10	89	0.06	94
4	0.3	0.06	94	0.05	95
5	0.4	0.06	94	0.04	96
6	0.5	0.05	95	0.03	97


ცხრილში 1 მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ რადიაციულად მიღებული 0.1 გრ მანგანუმის დიოქსიდის დამატებისას და 2 საათით დაყოვნების შემდეგ ადგილი აქვს ხსნარის გაუფერულებას 50 %-ით. დამატებული დიოქსიდის რაოდენობის ზრდით გარდაქმნის ხარისხი მატულობს და დაწყებული

0.4 გრ დიოქსიდიდან პრაქტიკულად უცვლელი რჩება. ანალოგიური შედეგები მიიღება ქიმიურად სინთეზირებული მანგანუმის დიოქსიდის დამატებისას (ცხრილი 1), იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში სტაციონარული მდგომარეობა მიიღწევა 0.3 გრ–დან.

გაცილებით უკეთესი შედეგები მიიღება ხსნარების 23 საათით დაყოვნების შემთხვევაში. აქ გაუფერულების ხარისხი პრაქტიკულად ერთი და იგივეა ქიმიურად და რადიაციულად მიღებული მანგანუმის დიოქსიდის დამატებისას.



ნახაზი 1. “პირდაპირი წითელი 2C”-ს 0.005%-იანი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის დამოკიდებულება დამატებული რადიაციულად მიღებული მანგანუმის დიოქსიდის რაოდენობაზე: Series 1 – 2 საათის დაყოვნების შემდეგ, Series 2 – 23 საათის დაყოვნების შემდეგ.



ნახაზი 2. “პირდაპირი წითელი 2C”-ს 0.005%-იანი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის დამოკიდებულება დამატებული ქიმიურად მიღებული მანგანუმის დიოქსიდის რაოდენობაზე: Series 1 – 2 საათის დაყოვნების შემდეგ, Series 2 – 23 საათის დაყოვნების შემდეგ

თუ შევადარებთ ორივე მეთოდით სინთეზირებული მანგანუმის დიოქსიდის გამოყენების შედეგებს, ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველი მეთოდით მიღებული 0.2 გრ მანგანუმის დიოქსიდის დანამატი უფრო ეფექტურად მოქმედებს “პირდაპირი წითელი 2C” საღებრის შემცველი ხსნარების გაუფერულებაზე (89%), მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში იგი მხოლოდ 71%-ია. მიუხედავად გაუფერულების შედარებით მაღალი ხარისხისა, მიღებული შედეგები არ არის დამაკმაყოფილებელი და ამიტომ გადაწყდა ხსნარის გადაფილტვრა დიოქსიდის დამატებისა და 2 საათით დაყოვნების შემდეგ. როგორც 1 და 2 ცხრილებიდან ჩანს, ფილტრაციის პროცესის გამოყენება ერთი და იგივე პირობებში დაახლოებით 1.5 – ჯერ ზრდის ხსნარის გაუფერულების ხარისხს (მაგალითად, 0.1გრ ქიმიურად მიღებული მანგანუმის დიოქსიდის დამატებისას 55% და 86%, შესაბამისად). გაცილებით მაღალი ეფექტი მიიღება 0.1გრ მანგანუმის დიოქსიდის დამატებით შესწავლილ ხსნარებზე ცენტრიფუგირებისა და სანჯღრეველას გამოყენებით. ცხრილში 2 მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2 საათით

ცენტრიფუგირებისას მიიღწევა გაუფერულება 98%-ით, ხოლო სანჯღრეველას გამოყენების შემთხვევაში – 91%.

ცხრილი 2. “პირდაპირი წითელი 2C” –ს 0.005%-იანი მოდელური ხსნარის გაუფერულების ხარისხის დამოკიდებულება ცენტრიფუგირების და ნჯღრევის დროზე (საწყისი ხსნარის = 0.95,  $MnO_2=0.1$ გრ)

№	დრო წთ	<b>D</b> დაყოვნების და გადაფილტვრის შემდეგ	გაუფერულების ხარისხი %	<b>D</b> ცენტრიფუგირების შემდეგ	გაუფერულების ხარისხი %	<b>D</b> ნჯღრევის და გადაფილტვრის შემდეგ	გაუფერულების ხარისხი %
1	0	0.55	42				
2	15	0.5	47	0.56	41	0.37	61
3	30	0.5	47	0.26	73	0.33	65
4	45	0.4	58	0.18	81	0.21	78
5	60	0.31	66	0.14	85.5	0.17	82
6	75	0.28	71	0.095	90	0.14	85.5
7	90	0.28	71	0.08	91	0.14	85.5
8	105	0.19	80	0.06	94	0.11	87.5
9	120	0.14	86.5	0.025	98	0.09	91.5

პირდაპირი წითელი 2C საღებრის შემცველი ხსნარის გაწმენდისათვის გამოყენებული იქნა მანგანუმის ბუნებრივი კარბონატული მადანი, რომლის შედგენილობა ასეთია:  $MnCO_3 - 21,33\%$ ,  $Mn^{2+} - 20,67\%$ ,  $CaO - 15,65\%$ ,  $MgO - 1,61\%$ ,  $(Fe, Al) - 2,27\%$ ,  $SiO_2 - 21,6\%$ ,  $SO_3 - 0,58\%$ ,  $P_2O_5 - 0,1 \div 0,5\%$ .

ცხრილი 3 მონაცემების თანახმად, 90% - ანი გაუფერულება მიიღწევა საკმაოდ დიდი რაოდენობის კარბონატული მადნის დამატებით (1,1 გრ), რაც არ არის მიზანშეწონილი. ამიტომ დანამატად აღებულ იქნა 0,4გრ კარბონატული მადანი და 0,2გრ ქიმიურად მიღებული მანგანუმის დიოქსიდი. მონაცემები გვიჩვენებს, რომ მხოლოდ 0,4გრ კარბონატული მადნის დამატებისას გაუფერულების ხარისხი 10% – ა, ხოლო მხოლოდ 0,2გრ მანგანუმის დიოქსიდის დამატებისას აღწევს 71% – ს (ცხრილი 1), მაშინ როდესაც მათი ერთობლივი დამატების შედეგად გაუფერულების ხარისხი ტოლია 99%-ის.

ცხრილი 3. “პირდაპირი წითელი 2C” –ს 0.005%-იანი მოდელური ხსნარის გაუფერულების ხარისხის დამოკიდებულება დამატებული კარბონატული მადნის რაოდენობაზე

№	კარბონატული მადანი გრ,	<b>D</b> 2 საათის დაყოვნების და გადაფილტვრის შემდეგ	გაუფერულების ხარისხი, %
1	0	0.95	0
2	0.1	0.95	0
3	0.2	0.90	3
4	0.3	0.90	3
5	0.4	0.85	10
6	0.5	0.77	20
7	0.6	0.75	21
8	0.7	0.44	54
9	0.8	0.27	72
10	0.9	0.25	74
11	1.0	0.14	86
12	1.1	0.09	90
13	1.2	0.09	90
14	1.4	0.09	90

ამრიგად, მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სხვადასხვა დანამატის საგრძნობლად ნაკლები რაოდენობებით ერთობლივი გამოყენების შემთხვევაში მიიღწევა ხსნარის პრაქტიკულად სრული გაუფერულება, რაც იწვევს პროცესის ეკონომიური ეფექტის გაზრდას.

### ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. *Карцивадзе И.Н., Хидешели Г.И., Шанидзе Г.В., Квирквелия Н.М.* Известия АН. Грузии, сер. хим., 1999. т. 25. № 1 – 2. с. 71 – 74.
2. *ივანტაშვილი ს., შანიძე გ., თუშურაშვილი რ.,* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმ. სერია, 2003, ტ. 29. № 1-2, გვ.23-25.

### USE OF MANGANESE COMPOUNDS FOR PURIFICATION OF SEWAGE, CONTAINING ORGANIC DYES

Rimzet Tushurashvili, Genrieta Shanidze, Merab Panchvidze, Tsiuri Basiladze

*Rafiel Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry*

### S U M M A R Y

The possibility for the use of manganese dioxide, prepared by chemical and radiation methods, has been studied for purification of model solutions, containing dye “direct red – 2C”. Optimal concentration of manganese dioxide of both types for total purification was determined. Investigations were carried out for the use of carbonate ore for purification of above mentioned solutions and optimal concentration of the additive was established. Results of the experiments of joint use of carbonate ore and manganese dioxide for purification of mentioned systems have shown that combined method allows a considerable decrease of additive concentration with the synchronous increase of purification efficiency

### ИСПОЛЬЗОВАНИЕ СОЕДИНЕНИЙ МАРГАНЦА ДЛЯ ОЧИСТКИ СТОЧНЫХ ВОД, СОДЕРЖАЩИХ ОРГАНИЧЕСКИЕ КРАСИТЕЛИ

Р.Г.Тушурашвили,Г.В.Шанидзе,М.В.Панчвидзе,Ц.М.Басиладзе

*Институт неорганической химии и электрохимии им. Р.И.Агладзе*

### РЕЗЮМЕ

Изучена возможность использования диоксида марганца, полученного химическим и радиационными методами для очистки модельных растворов, содержащих краситель «прямой красный – 2С». Установлена оптимальная концентрация обеих видов диоксида марганца для полной очистки. Проведены исследования по применению карбонатной руды с целью очистки вышеуказанных растворов и определена оптимальная концентрация добавки. Результаты экспериментов по совместному использованию карбонатной руды и диоксида марганца для очистки указанных систем показали, что комбинированный метод позволяет значительно уменьшить концентрацию добавки с одновременным увеличением степени очистки.



## მანგანუმის დიოქსიდის შემცველი წარმოების ნარჩენების ბალანსირება

რუსუდან ღუნდუა, გიული გობეჩია, ნანა ბუთლიაშვილი  
რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მანგანუმის დიოქსიდის შემცველი ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება მანგანუმის მადნების გამდიდრებისას და გამდიდრებით მიღებული ოქსიდული კონცენტრატების ქიმიური გადამუშავების შედეგად, წარმოადგენენ დღეისათვის ყველაზე იაფ ნედლეულს მანგანუმისა და მისი ნაერთების წარმოებისათვის.

ჭიათურის საბადოს ოქსიდული და პეროქსიდული მადნების გამდიდრების შედეგად 9 მლნ ტონამდე მანგანუმშემცველი ნარჩენია დაგროვილი [1]. მასში 9-10% მანგანუმია, ძირითადად დიოქსიდის სახით. ნარჩენები დღემდე არ გამოიყენება.

დღემდე ვერ ჰპოვა გამოყენება ოქსიდული კონცენტრატების ბაზაზე ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის (ემდ) წარმოების ნარჩენმა შლამებმაც (რუსთავი, საწარმოო გაერთიანება (სგ) „აზოტი“), რომლებიც ბევრად მცირე რაოდენობითაა კულსაცავებში (185-190 ათასი ტ) [2], ვიდრე მადნების გამდიდრების ნარჩენები, თუმცა 2-3-ჯერ უფრო მდიდარია მანგანუმით. ეს შლამები მანგანუმის შემცველობის (25-30%) მიხედვით არ ჩამოუვარდება ჭიათურა-საჩხერის აუზის მანგანუმის ჟანგულ მადნებს [3]. დროთა განმავლობაში კი, სავარაუდოა, კიდევ უფრო მიუახლოვდეს მათ ნივთიერი შედგენილობითაც კლიმატური პირობების ზეგავლენით. შლამები, ერთი მხრივ, რჩება აუთვისებელი როგორც მანგანუმის რენტაბელური ნედლეული, მეორე მხრივ, აბინძურებს გარემოს ( $MnSO_4$  ჩაირეცხება ნიადაგში, წვრილდისპერსული შლამი ამტკვრიანებს მიმდებარე ტერიტორიას) და ქმნის ეკოლოგიურ პრობლემებს.

ემდ-ს წარმოების ნარჩენ შლამებში მანგანუმი წარმოდგენილია მანგანუმის სულფატისა და ოქსიდების  $Mn(II, III, IV)$  სახით. როგორც მოსალოდნელი იყო,  $MnSO_4$ -ის შემცველობა კულსაცავებში განთავსებულ შლამებში სულ უფრო მცირდება, რაც დრო გადის მათი დასაწყობებიდან, შესაბამისად, იზრდება მათში ოქსიდების კონცენტრაცია. მაგალითად, 2000 წელს კულსაცავიდან აღებული შლამის სინჯში სამჯერ დაბალია  $MnSO_4$ -ის შემცველობა და ამდენჯერვე მეტია  $MnO_2$ -ისა, ვიდრე 1988 წელს იყო.

მანგანუმის მადნების გამდიდრების ნარჩენებთან შედარებით, შლამების უტილიზაციის პერსპექტივები გაცილებით დიდია, რასაც ადასტურებს არა ერთი კვლევა ემდ-ს წარმოების ნარჩენი შლამების გადამუშავების შესახებ [4-10]. ყველა მათგანში შლამების გამოტუტვისათვის სარეაქციო არედ გამოყენებულია გოგირდმჟავას წყალხსნარი, მანგანუმის დიოქსიდის აღმდგენად კი – სხვადასხვა ნივთიერება: გოგირდი, გოგირდოვანი აირი, რკინის ბურბუშელა ან ნაქლიბი,  $FeSO_4$ .

ლითონური მანგანუმის თუ მანგანუმის ნაერთების წარმოებისათვის საჭირო კონდიციის (სისუფთავე, კონცენტრაცია) ხსნარების მისაღებად აუცილებელია შლამების გამოტუტვის შედეგად მიღებული  $MnSO_4$ -ის ხსნარის გაწმენდა მინარევი იონებისაგან. რკინის (0) ან  $FeSO_4$ -ის გამოყენებით შლამების გამოტუტვისას მანგანუმის სულფატის ხსნარების გაწმენდას მინარევი იონებისაგან ჩვეულებრივ ახორციელებენ განეიტრალებით კირის რძის გამოყენებით ან იაროზიტ-პროცესით. თუმცა მანგანუმის სულფატის სუფთა ხსნარების მიღება ამ პროცესების რეალიზაციისას ვერ ხერხდება; იქმნება ტექნოლოგიური ხასიათის სირთულეებიც: იჭვდება საკომუნიკაციო ხაზები, სუსპენზიის გაფილტვრის სიჩქარე დაბალია, ადვილი აქვს ძირითადი ხსნარის დანაკარგებს და დამხმარე მასალების გაზრდილ ხარჯებს.

შლამების გადამუშავების ტექნოლოგიური და ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად უმჯობესდება  $MnSO_4$ -ის გოგირდმჟავიანი ხსნარების გასანიეიტრალებლად ჭიათურის გამამდიდრებელი ფაბრიკის დაბალხარისხიანი გვერდითი პროდუქტის - მანგანუმის აგლოკონცენტრატის გამოყენებისას [10]. შედეგები განპირობებულია ამ უკანასკნელის თვისებებით:

– აგლოკონცენტრატი მანგანუმის კარბონატული კონცენტრატია; მისი გამოყენებით ხსნარების განეიტრალებისას ხსნარები მდიდრდება მანგანუმით (II), ხოლო მიღებულ სუსპენზიაში მყარი ფაზის სტრუქტურული შედგენილობა უზრუნველყოფს გაფილტვრას მაღალი სიჩქარით და თხევადი ფაზის გამოყოფას მინიმალური დანაკარგებით;

– მაღალია აგლოკონცენტრატის ტუტეანობა, რის გამოც მისი, როგორც ნეიტრალიზატორის ხარჯი დაბალია;

– აგლოკონცენტრატი არის იაფფასიანი ნედლეული.

აგლოკონცენტრატით  $MnSO_4$ -ის მჟავური ხსნარების განეიტრალება  $pH=5$ -მდე უზრუნველყოფს ხსნარების გაწმენდას  $Fe(III)$ -ის,  $Cu(II)$ -ის,  $Co(II)$ -ის იონებისაგან, რაც აიხსნება მათი თანადალექვით განეიტრალებისას წარმოქმნილ რკინის (III) ჰიდროქსიდთან.

შლამებში მანგანუმის (IV) ოქსიდის აღსადგენად  $FeSO_4$ -ის გამოყენებას თან ახლავს ტექნოლოგიური ხასიათის სირთულეებიც. კერძოდ, რკინის (III) სულფატის მაღალი კონცენტრაციის პირობებში წარმოიქმნება ბლანტი სუსპენზიები, რაც განაპირობებს  $MnSO_4$ -ის დიდ დანაკარგებს გაფილტვრისას. ამის გამო განეიტრალების პროცესის ჩატარება მიზანშეწონილია  $Fe(III)$ -ის განზავებულ ხსნარებში, რაც, თავის მხრივ, ზრდის ტექნოლოგიური ნაკადების მოცულობებს და საბოლოო პროდუქტის თვითღირებულებასაც, შესაბამისად. მეორე მხრივ, შლამების გადამუშავებას აძვირებს ტექნიკური რკინის (II) სულფატის გამოყენებაც. ბევრად რენტაბელურია შლამების გადამუშავების ტექნოლოგიურ სქემაში  $FeSO_4$ -ის მიღების კვანძის ჩართვა რკინისა და გოგირდმჟავასაგან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო ემდ-ს წარმოების ნარჩენი მანგანუმიანი შლამების გადამუშავების რაციონალური სქემის შემუშავება ზემოთ აღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით. სამუშაოს შესრულებისას ნაწილობრივ ვისარგებლეთ ადრე მიღებული შედეგებით შლამების გამოტუტვისას  $FeSO_4$ -ის გამოყენებით [10].

კვლევებისათვის გამოყენებული იყო მანგანუმიანი შლამის ნიმუში, რომელიც აღებულ იქნა 2000 წელს სვ „აზოტი“-ს შლამების საცავიდან. შლამის ჰაერზე გამომშრალი საშუალო სინჯი შეიცავდა (%):  $MnO_2$  – 18,5;  $MnSO_4$  – 6,97;  $MnO$  – 14,66;  $Mn_2O_3$  – 3,70;  $CaSO_4$  – 14,40;  $SiO_2$  – 18,28;  $MgSO_4$  – 6,50;  $BaSO_4$  – 4,77;  $Al_2O_3$  – 3,05;  $Fe_2O_3$  – 2,10 და სხვას ~7,0. შლამის სასაქონლო ტენმა შეადგინა 25,8%.

შლამების გადამუშავების სქემაში გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ოპერაციების ჩართვა: რკინის (II) სულფატის მიღება თუჯის ჯართისა და გოგირდმჟავასაგან; მიღებული მჟავა ხსნარით შლამის ერთი ნაწილის გამოტუტვა; მანგანუმის დიოქსიდით რკინის(II) დაჟანგვის შედეგად წარმოქმნილი  $Fe(III)$ -ის აღდგენა თუჯის ჯართით; მიღებული ხსნარით შლამის მეორე ნაწილის გამოტუტვა მაღალ ტემპერატურაზე ( $T > 423^{\circ}K$ ); ავტოკლაკური მჟავა ხსნარის განეიტრალება მანგანუმის აგლოკონცენტრატით.

რკინის (II) სულფატის მისაღებ ნედლეულად შეირჩა ხმარებიდან გამოსული საყოფაცხოვრებო რადიატორი, რომლისგანაც დამზადდა ნაქლიბი ნაწილაკების სიმსხოთი არა უმეტეს 1 მმ-ისა. ნაქლიბის ხვედრითი ზედაპირის ფართი იყო 6,48 მ<sup>2</sup>/კგ, ხოლო ქიმიური შედგენილობა (%):  $Fe(0)$  – 89,67;  $Fe(III)$  – 0,48;  $Mn(II)$  – 1,34; დანარჩენი (C, S, P, მინადული) – 8,26.

$FeSO_4$ -ით  $MnO_2$ -ის აღდგენის სიჩქარე გოგირდმჟავა ხსნარებში, რომელიც გამოისახება განტოლებით



შესწავლილია [11]-ში და ნაჩვენებია, რომ ზომიერად განვითარებული ტურბულენტობის პირობებში ( $Re \approx 1 \div 6 \cdot 10^4$ ) რეაქცია მიმდინარეობს დიფუზურად და ხასიათდება პირველი რივის კინეტიკური განტოლებით. ეს რეაქცია კარგადაა ცნობილი, თუმცა მის გამოყენებას ზღუდავს  $Fe(III)$ -იონების თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს მის მაღალკონცენტრირებულ ხსნარებს.

რკინის (III) იონების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება წყალხსნარებში არის ჰიდროლიზი და ამის შედეგად სხვადასხვა კომპლექს-იონების წარმოქმნის უნარი. დადგენილია [12], რომ  $pH=2 \div 3$ -ის დროსაც კი ჰიდროლიზის ხარისხი მაღალია და ისეთი ხსნარის მიღება, რომელიც  $Fe(III)$ -ს შეიცავს მთლიანად ღია წითელი ფერის ჰექსაჰელო-იონის  $[Fe(H_2O)_6]^{3+}$  სახით, შესაძლებელია მხოლოდ 0-ის ტოლი  $pH$ -ის მნიშვნელობისას.  $pH$ -ის გაზრდისას 2-3-ზე ზემოთ წარმოიქმნება ორსართულიანზე უფრო კონდენსირებული ნაერთი, სისტემა ძალიან ნელა უახლოვდება წონასწორობას და მალე წარმოიქმნება გელი. ეს სურათი პრაქტიკაში საკმაოდ ცნობილია და იგი დიდ სიძნელეებს უქმნის რკინის (III) იონების შემცველ სისტემებს, განსაკუთრებით ტექნოლოგიურ პროცესებში. ამ მოვლენას ადვილი აქვს ჰიდრომეტალურგიაშიც, კერძოდ, ავტოკლაკურ სქემებში.  $Fe_2O_3 - SO_3 - H_2O$  სისტემის წონასწორობის მდგომარეობის შესწავლით დადგინდა, რომ სულფატურ ხსნარებში რკინის (III) აქვოკომპლექსების

ჰიდროლიზური გარდაქმნები მიმდინარეობს მხოლოდ დაბალი ტემპერატურების ( $t < 100^{\circ}\text{C}$ ) დროს.  $373^{\circ}\text{K}$ -ზე ზემოთ ამ რეაქციების წონასწორული მდგომარეობები ძლიერ ირღვევა და ზომიერად მჟავეურ არეებშიც ( $\text{C}_{\text{H}_2\text{SO}_4} \sim 25$  გ/ლ) კი ადგილი აქვს  $\text{Fe(III)}$ -იონების ჰიდროლიზს. წარმოქმნილი მყარი ფაზის შედგენილობა  $453^{\circ}\text{K}$ -მდე შეესაბამება გიოტიტს ( $\text{Fe}_2\text{O}_3 \cdot \text{H}_2\text{O}$ ),  $453^{\circ}\text{K}$ -ზე ზევით – ჰემატიტს ( $\text{Fe}_2\text{O}_3$ ) [13].

მჟავეურ არეებში მაღალ ტემპერატურაზე რკინის (III)-იონებისათვის დამახასიათებელი ჰიდროლიზი იძლევა საშუალებას  $\text{FeSO}_4$ -ის მაღალკონცენტრირებული ხსნარებით შლამების გამოტუტვისას მიღებული იქნეს რკინის (III)-იონებისაგან სუფთა ხსნარები.

$\text{Fe}_2(\text{SO}_4)_3$ -ის მაღალი კონცენტრაციების უარყოფითი გავლენის თავიდან ასაცილებლად, შლამების  $\text{FeSO}_4$ -ით გამოტუტვის სქემას დაემატა  $\text{Fe(III)}$ -იონების აღდგენის პროცესი რკინის ნაქლიბის გამოყენებით.

$\text{Fe(III)}$ -იონების რკინით (თუჯით) აღდგენის კინეტიკა შესწავლილი იქნა გოგირდმჟავას განზავებულ ხსნარებში [14] და დადგენილი იქნა, რომ რეაქცია



მსგავსად (1) რეაქციისა, მიმდინარეობს დიფუზურად ხსნარის დინების მდგრად ტურბულენტურ რეჟიმში და აღიწერება პირველი რიგის განტოლებით რკინის (III) სულფატის მიმართ. ეს კანონზომიერებები დადასტურდა შემოწმებით პროცესის მოდელირებისას მსხვილლაბორატორიულ მასშტაბში [15].


როგორც ცნობილია [16], დიფუზური პროცესებისათვის მსგავსების კრიტერიალური განტოლება

$$\text{Sh} = 25 + 2,5\text{Re}^{0,65} \quad (3)$$

ერთმანეთთან აკავშირებს დიფუზური მასაცვლისა და მორევის ინტენსივობებს და იძლევა რეაქციების კინეტიკური თავისებურებების აღწარმოების საშუალებას ნებისმიერ მასშტაბში. კრიტერიალური დამოკიდებულების (3) საფუძველზე შესაბამისი გათვლებით ირკვევა, რომ სამრეწველო აპარატებშიც, ხსნარის მორევის მაღალი ინტენსივობით ( $\text{Re} \approx 0,2 \div 2,7 \cdot 10^6$ ), რეაქცია (1) მიმდინარეობს დიფუზიური დამუხრუჭებით.


ამგვარად, გამოტუტვა ორივე ტემპერატურულ რეჟიმში უნდა ჩატარდეს ხსნარების ინტენსიური შერევის რეაქტორებში.

ზემოთ აღწერილი ქიმიური გარდაქმნების გარდა, შლამების გამოტუტვისას ადგილი აქვს სხვა ურთიერთქმედებებსაც. მათგან მნიშვნელოვანია რეაქცია



რომელიც ეგზოთერმულად მიმდინარეობს. შლამში  $\text{MnO}$ -ს შემცველობა (14,66%) საკმარისია არეს ტემპერატურის შესაცვლელად  $4-6^{\circ}\text{K}$ -ით საშუალო და მეტი სიმკვრივის სუსპენზიებში, როცა მყარი:თხევადი  $> 1:20$ .

აღსანიშნავია მაღალტემპერატურული გამოტუტვისას მიმდინარე რკინის (III) სულფატის ჰიდროლიზის რეაქციაც, რომელიც გამოისახება განტოლებით



$n$  დამოკიდებულია გამოტუტვის ტემპერატურაზე. იგი მით მცირეა, რაც უფრო მაღალია ჰიდროლიზის ტემპერატურა.

შლამის გამოტუტვის დროს მიმდინარე სხვა რეაქციები რაიმე არსებით გავლენას ვერ ახდენენ გამოტუტვის შედეგებზე.

საბოლოოდ, (1) და (2) რეაქციების კინეტიკური კანონზომიერებების ანალიზის საფუძველზე რენტაბელურად იქნა მიჩნეული ემდ-ის ნარჩენი შლამების ორ ნაწილად, I და II სტადიებზე გამოტუტვა. ერთი ნაწილი, დაახლოებით 40%, გამოიტუტება დაბალ ტემპერატურებზე ( $T=293-303^{\circ}\text{K}$ ) რკინის (0) ნაქლიბის თანაობისას გოგირდმჟავა არეში, რაც ნიშნავს, რომ ერთ აპარატში განხორციელდება (1) და (2) ქიმიური გარდაქმნები და აგრეთვე რკინის გოგირდმჟავასთან ურთიერთქმედება



ეს რეაქცია დიდი ხანია გამოიყენება წარმოებაში რკინის აჯასპის ( $\text{FeSO}_4$ ) მისაღებად. იგი აქტიურად მიმდინარეობს განზავებულ გოგირდმჟავაში ოთახის ტემპერატურაზეც.

შლამის მეორე ნაწილი, 60%-მდე, დაემატება გამოტუტვის შედეგად მიღებულ სუსპენზიას, რომელიც შეიცავს რეგენერირებულ  $\text{FeSO}_4$ -ს, და გამოიტუტება  $433-443^{\circ}\text{K}$ -ზე. ახლად წარმოქმნილი რკინის (III) სულფატი განიცდის ჰიდროლიზს აღნიშნულ პირობებში და ტოვებს სარეაქციო არეს.

ლაბორატორიული კვლევების ჩასატარებლად გამოყენებული იქნა ჰიდრომეტალურგიული კვლევებისათვის რეკომენდებული სტანდარტული მოდელის 1 ლიტრიანი რეაქტორი [16], რომელიც აღიჭურვა სითხის მოძრაობის რეჟიმის მარეგულირებელი მოწყობილობით, და 1 ლიტრიანი ავტოკლავი მდგრადი ტურბულენტური რეჟიმით ( $Re \approx 18000$ ) [18]. ავტოკლავში სუსპენზია ცხელდებოდა გარედან, ელექტროლუმენის საშუალებით. ტემპერატურის რეგულირება ხდებოდა პოზიციური რეგულატორის (MCP 1-101) გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფდა სარეაქციო არეში ტემპერატურის შენარჩუნებას  $\pm 2^{\circ}K$  საზღვრებში.

გამოტუტვის II სტადიაზე მიღებული  $MnSO_4$ -ის მჟავა ხსნარების განეიტრალება ჩატარდა სტანდარტული მოდელის 2 ლიტრიან ლაბორატორიულ რეაქტორში [16]. გამანეიტრალებლად გამოყენებული იქნა სასაქონლო მანგანუმის აგლოკონცენტრატი, დაწვრილმანებული  $5 \cdot 10^{-5}$  მ-მდე. იგი შეიცავს (%):  $Mn_{\Sigma}$  14,38;  $MnO_2$  2,55;  $SiO_2$  16,87;  $CaO$  9,83;  $Fe_2O_3$  1,91;  $BaO$  1,51;  $Al_2O_3$  2,4. აგლოკონცენტრატში ძირითადი მინერალია მანგანოკალციტი -  $MnCa(CO_3)_2$ .

გამოტუტვის I და II სტადიებისა და განეიტრალების ოპერაციების შეკრულ ციკლში ჩატარების შედეგად მიღებული მაჩვენებლები შეჯამებულია ცხრილში. დადგინდა, რომ მანგანუმის დიოქსიდის და რკინის(II,III)-იონების აღდგენის სიჩქარე უფრო მაღალია მოცემულ პირობებში ( $Re = 18000 - 21000$ ;  $H_2SO_4 = 18-21$  კგ/მ<sup>3</sup>), ვიდრე თუჯის დაჟანგვისა გოგირდმჟავათი. (1) და (2) რეაქციები მთავრდება I სტადიაზე 5100-5400 წმ-ის განმავლობაში, ხოლო რეაქცია (6) - მხოლოდ II სტადაზე. I სტადიის ბოლოს თუჯის დაჟანგვის ხარისხი არ აღემატება 65-70%-ს. ეს შედეგები აისახა პრინციპულ ტექნოლოგიურ სქემაზე, როცა გაფილტვრის ოპერაცია არ დაიგეგმა I სტადიის გამოტუტვის შემდეგ, მით უმეტეს, რომ შლამის და თუჯის ერთობლივი გამოტუტვის შედეგად მიღებული მყარი ფაზის გამოსავალი მაღალი არ არის.

შლამის და თუჯის ნაქლიბის ერთობლივი გამოტუტვის მაჩვენებლები შემოწმდა მსხვილლაბორატორიულ მასშტაბში. გამოტუტვის ჩასატარებლად გამოყენებული იქნა 40 ლიტრიანი რეაქტორი. იგი წარმოადგენს ცილინდრული ფორმის ჭურჭელს, აღჭურვილს ფრთიანი სარეველათი და 4 ამრეკლი ტინარით. მოძრევი მოწყობილობა უზრუნველყოფს სუსპენზიის ჰომოგენიზაციას რეაქტორის მთელს მოცულობაში. რეაქტორში სითხის ჰიდროდინამიკური მდგომარეობის დასახასიათებლად განისაზღვრა რეინოლდისის კრიტერიუმი [17],  $Re = 37230$ . გამოტუტვა ჩატარდა შემდეგი პარამეტრების პირობებში: ტემპერატურა  $300 \pm 3^{\circ}K$ , მყარი : თხევადი = 1 : 20,  $Re = 37230$ . შლამის თუჯის ნაქლიბთან ერთად გამოტუტვის სურათი წარმოდგენილია ნახაზზე 1. გამოტუტვის აღნიშნულ რეჟიმში 3000-4000 წმ-ის შემდეგ შლამიდან მანგანუმის(II) ამოწვლილვამ შეადგინა 99%, მყარი ფაზის გამოსავალმა - 45,4%. ამგვარად, მიღებული ტექნოლოგიური მაჩვენებლები ხასიათდება სრული იგივეობით ლაბორატორიულ მონაცემებთან მიმართებაში ჰიდროდინამიკური რეჟიმის გათვალისწინებით.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე განისაზღვრა ძირითადი მასალების ხარჯვითი კოეფიციენტები 1 ტ შლამზე: თუჯის ჯართის - 0,17 ტ; გოგირდმჟავასი - 0,53 ტ; მანგანუმის აგლოკონცენტრატის - 0,11 ტ. შეირჩა შლამის გადამუშავების ცალკეული სტადიების ოპტიმალური პარამეტრები:

შლამის გამოტუტვის I სტადიისთვის -  $T = 298-303^{\circ}K$ ;  $Re \gg 10\ 000$ ;  $C_{H_2SO_4} = 18-21$  კგ/მ<sup>3</sup>; შლამი / თუჯი = 1/0,17(ტ)

შლამის გამოტუტვის II სტადიისთვის -  $T = 438-443^{\circ}K$ ;  $Re \gg 10\ 000$ ;  $C_{H_2SO_4} = 4-7$  კგ/მ<sup>3</sup>.

განეიტრალების სტადიისთვის -  $T = 353-358^{\circ}K$ ;  $pH = 5$ ; შლამი /მანგანუმის აგლოკონცენტრატი = 1/0,11 (ტ);  $t = 1800-2700$  წმ; მორევის ინტენსივობა - სუსტი ტურბულენტური.

ავტოკლავური გამოტუტვის მყარი ნარჩენებიდან შესაძლებელია რკინის (III) ოქსიდის ამოღება ფლოტაციით მისი პიგმენტად ან ღრუბლოვანი რკინის ნედლეულად გამოყენების მიზნით, ხოლო შლამებისა და აგლოკონცენტრატის ნარჩენების გამოყენება გარეცხვის შემდეგ - სილიკატურ მრეწველობაში.

საბოლოოდ, შესრულებული კვლევების საფუძველზე ნახ.2-ზე შემოთავაზებულია მანგანუმის ელექტროლიზური დიოქსიდის წარმოების ნარჩენი შლამების გადამუშავების პრინციპული ტექნოლოგიური სქემა.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Минеральные ресурсы Грузии и проблемы их рациональной разработки. АН Грузии. Тбилиси: Мецნიერება, 1991, с. 280.
2. საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში წარმოქმნილი ეკოლოგიურად საშიში (ტოქსიკური) ნარჩენების კატალოგი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რსსსგ „საქტოქსმეორეული გადაამუშავება“, თბილისი, 1990.
3. *Гавашели А.В.* Марганцовые руды Чиатура-Сачхерского бассейна. Тбилиси: Сабчота Сакартвело, 1969, с. 87.
4. *Пурцеладзе Б.Х., Джапаридзе Л.Н., Пурцеладзе Х.Г., Чкония Т.К., Шошиашвили Э.Н., Лекшвили К.А.* Реферативный сборник „Марганец“, Тбилиси, Груз НИИНТИ, 1986, 2(104), с.18-20.
5. *Чачанидзе И.П., Сванидзе М.Н., Раквиашвили Н.В., Чкония Т.К.* Реферативный сборник „Марганец“, Тбилиси, Груз НИИНТИ, 1987, 6(114), с. 18-21.
6. *ჭყონია თ., ჩახანიძე ი., რაქვიაშვილი ი., სვანიძე მ.* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 1993, № 1, ტ. 19, გვ. 62-65.
7. *აგლაძე თ., შენგელია ჯ., აგლაძე გ., კუპრავა დ., კალმახელიძე ნ.* მანგანუმის მადნებისა და მანგანუმის წარმოების ნარჩენი ღამების გადამამუშავების ხერხი. პატენტი. GE P 2000 2326 B.
8. *Печерская А.Г., Гедзь Н.М.* Горный журнал, 6, 1965, с. 64-65.
9. *აგლაძე თ., შენგელია ჯ., შალიაიანი ნ., დელიბაშვილი ს., ნიკიტინი ს., ყარაშვილი გ., კალმახელიძე ნ.* მანგანუმის დაბალხარისხოვანი მადნების ელექტროქიმიური გამოტუტვის ხერხი. პატენტი. GE P 374.
10. *დუნდუა რ., აღნიაშვილი გ.* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 1999, № 1-2, ტ. 25, გვ. 151-154.
11. *Дундуа Р.Г., Доброхотов Г.Н.* Журнал прикладной химии, 1982, №8, с. 1831-1835.
12. *Доброхотов Г.Н.* Изв. вуз-ов, Цвет. Metallurgy, 1979, №3, с. 65-79.
13. *დუნდუა რ., გობეჩია გ., ბუთლიაშვილი ნ., უგრელიძე ქ.* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2004, ტ. 30, № 3-4, გვ. 319-325.
14. *დუნდუა რ., გობეჩია გ., უგრელიძე ქ., ბუთლიაშვილი ნ.* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2005, ტ. 31, №3-4, გვ. 344-348.
15. *Дундуа Р.Г., Белоцерковская Е.Г., Доброхотов Г.Н.* Способ определения гидродинамического (аэродинамического) состояния систем. /Ленинград. Горн. ин-т, - Л., 1987. – 8с.: ил. – Библиогр. 3 назв. – Рус. – Деп. в Груз НИИНТИ.
16. *Коттон Ф., Уилкинсон Дж.* Современная неорганическая химия. Т.3. Изд. „Мир“, М., 1969, с.585.
17. *Доброхотова Е.Г.* Изв. вуз-ов, Цветная металлургия, 1983, №1, с. 75-78.
18. *Вишневский Н.Е., Глуханов А.П., Ковалев И.С.* Аппаратура высокого давления с экранированным электродвигателем. М., Л., „Мир“, 1956, с.226.

## PROCESSING OF RESIDUE SILT OF ELECTROLYTIC MANGANESE DIOXIDE PRODUCTION

Rusudan Dundua, Giuli Gobechia, Nana Butliashvili

*Rafael Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry*

## SUMMARY

There has been developed a principal technological scheme of non-waste processing of manganese silts, that considers leaching of silt together with steel salvage by using sulfuric acid solutions, high-temperature hydrolysis and usage of manganese low-grade carbonate concentrate for getting pure manganese sulfate solutions from Fe(II,III)-ions by rationally using of materials.

## ПЕРЕРАБОТКА ОСТАТОЧНЫХ ШЛАМОВ ПРОИЗВОДСТВА ЭЛЕКТРОЛИТИЧЕСКОЙ ДВУОКИСИ МАРГАНЦА

Р.Г.Дундуа, Г.П.Гобечия, Л.С.Бутлиашвили

*Институт неорганической химии и электрохимии им. Р.И. Агладзе*

## РЕЗЮМЕ

Разработана принципиальная технологическая схема безотходной переработки марганцевых шламов, которая предусматривает выщелачивание шламов сернокислыми растворами вместе с чугуном скрапом, применение высокотемпературного гидролиза и марганцевых низкосортных карбонатных концентратов для получения растворов сульфата марганца, чистых от Fe(II,III)-ионов, и рациональное использование материалов.

**მაღალმოლეულური ვისკოზის ღებვის შესაძლებლობების კვლევა**

მაია შარაბიძე, თამარ მოსეშვილი, ელენე გამყრელიძე  
 ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქიმიური საფეიქრო ბოჭკოვანი მასალების წარმოებისა და მოხმარების უახლოეს ათწლეულებში ვისკოზური ბოჭკო კვლავინდებურად ლიდერთა შორის იქნება. ინტერესი ამ ბოჭკოვანი მასალისადმი არ ნელდება. მას მრავალი დადებითი ფიზიკურ-მექანიკური და სამომხმარებლო თვისება გააჩნია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის და აფართოებს მისი გამოყენების არეალს. ამიტომ კვლევები ვისკოზური ბოჭკოს წარმოების, მოდიფიცირების და შემდგომში მისი კოლორირების მიმართულებით კვლავინდებურად აქტუალურია.

სამუშაოს მიზანი იყო მაღალმოლეულური ვისკოზური ბოჭკოს - სიბლონისაგან ფორმირებული ქსოვილის ღებვის თავისებურებების კვლევა. ცნობილია, რომ ვისკოზის ბოჭკოსაგან დამზადებული ქსოვილების ღებვა გარკვეულ სიძნელებთან არის დაკავშირებული. ეს იმით არის განპირობებული, რომ ტრადიციული მეთოდით ვისკოზური ბოჭკოს ფორმირებისას, მის ზედაპირზე წარმოიქმნება ორიენტირებული შრე, ე.წ. "პერანგი", რომელიც აფერხებს საღებარის მოლეკულების ბოჭკოს სიღრმეში დიფუზიის პროცესს.


კვლევა ჩატარდა სიბლონის უგრეხი ნართისაგან მიღებულ ქსოვილზე. უგრეხი ნართი თავისი არსით წარმოადგენს ბოჭკოვან საკომპოზიტის მასალას, რომელშიც პარალელურად განლაგებული ბოჭკოები გრეხვის ნაცვლად ერთმანეთთან დაკავშირებულია ადჰეზიით. ჩვენს შემთხვევაში შემწვებავ მასალად გამოყენებული იყო ბოჭკოვანი ფორმის წყალში ხსნადი პოლივინილური სპირტი (პვს), რომელიც სიბლონის ბოჭკოებს ემატებოდა 12%-ის ოდენობით. აღსანიშნავია ისიც, რომ პვს დროებით შემწვებავ ფუნქციას ასრულებს, ვინაიდან ქსოვილების გამოყვანის პროცესში პვს გამოირეცხება მისი სტრუქტურიდან და მზა ქსოვილში რჩება მხოლოდ პარალელურად განლაგებული ბოჭკოების კონები.

ჩვენ დავინტერესდით აღნიშნული ექსპერიმენტული ქსოვილის ღებვის უნარით. ღებვა ვაწარმოეთ პერიოდული ხერხით მწვანე და წითელი საღებრით (%-) $0^{\circ}\text{C}$ -ზე 40 წთ-ის განმავლობაში. ღებვის შემდეგ ბოჭკოს მიერ სამღებრო ხსნარიდან საღებრის ამოკრება განისაზღვრა აბაზანაში ნარჩენის კოლორიმეტრირების გზით. ცხრილში 1 მოცემულია ვისკოზისა და სიბლონის ქსოვილების ღებვის მახასიათებლები.


**ცხრილი 1.** ვისკოზისა (I) და სიბლონის (II) ქსოვილების ღებვის მახასიათებლები

საღებარი	საღებრის ამოკრება, %		საღებრის ფიქსაციის ხარისხი		სიკაშკაშე, L		გაჯერებულობა, S		ფერთა ტონი, T	
	I	II	I	II	I	II	I	II	I	II
მწვანე	13.8	33.45	67.8	88.0	60.3	53.3	29.9	39.5	287.8	294
წითელი	38.3	64.2	30.8	51.0	53.7	55.5	56.9	58.1	320	323.1

აღმოჩნდა, რომ სიბლონის ბოჭკოს მიერ საღებრის ამოკრება მნიშვნელოვნად აღემატება ვისკოზის მიერ საღებრის ამოკრების ხარისხს. მასთან, ბოჭკოზე საღებრის ფიქსაციის ხარისხიც განსხვავებულია და სიბლონისათვის იგი უფრო მაღალია. საგულისხმოა ისიც, რომ შედეგილი სიბლონის კოლორიმეტრული მახასიათებლებიც უკეთესია. ეს იმას ნიშნავს, რომ სიბლონის ბოჭკო უკეთესად იღებება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ბოჭკოზე დარჩენილი ადჰეზივი პვს გარკვეულ ქიმიურ ურთიერთქმედებაში შედის სიბლონის ბოჭკოსთან, რის შედეგადაც მოდიფიცირებულ ბოჭკოზე ჩნდება საღებრის მოლეკულების მიერთებისათვის საჭირო აქტიური ცენტრები პვს-ში შემაჯავლი ჯგუფების სახით. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ქიმიური ურთიერთქმედება სქემატურად შესაძლოა გამოისახოს შემდეგი სახით:



პვს-ის მეშვეობით საღებრის მოლეკულების შეკავშირების ვერსია შემოწმდა ინფრაწითელი სპექტროსკოპული კვლევის მეთოდების შედეგების გაანალიზებით. ქიმიური ურთიერთქმედების მოსაზრების დამადასტურებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ვისკოზისა და სიბლონის იწ გამოსხივების შთანთქმის სპექტრების ანალიზის შედეგები. კერძოდ, 1427,14 სმ<sup>-1</sup> შთანთქმის ზოლი ახასიათებს -CH<sub>2</sub>O ჯგუფში CH<sub>2</sub>-ის დეფორმაციულ რხევას 2900 სმ<sup>-1</sup> კი ვალენტურ რხევას. როგორც ნახ.1-დან ჩანს, აღნიშნული შთანთქმის ზოლების ინტენსივობა სიბლონის სპექტრში ნაკლებია, ვიდრე ვისკოზის იწ სპექტრში. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სიბლონში შეზღუდულია CH<sub>2</sub>-ის ჯგუფის როგორც ვალენტური, ასევე დეფორმაციული რხევის თავისუფლება და ეს როგორც ჩანს, გამოწვეულია სიბლონის პვს-თან ურთიერთქმედებით, რაც სწორედ აღნიშნულ CH<sub>2</sub> ჯგუფთან დაკავშირებული ჰიდროქსილის ჯგუფით ხორციელდება. პვს-თან -CH<sub>2</sub>-O- ბმით დაკავშირებული CH-ის დეფორმაცია კი - თავისუფალი CH<sub>2</sub>-ჯგუფის დეფორმაციაზე ნაკლებია. რაც შეეხება 3440-3450 სმ<sup>-1</sup> შთანთქმის ზოლის ინტენსივობას, ცნობილია, რომ იგი ახასიათებს წყალბადური ბმებით დაკავშირებული ჰიდროქსილის - ჯგუფების ვალენტურ რხევას. სიბლონსა და პვს-ს შორის ურთიერთქმედება, ჩვენს მიერ გამოტყმული ვარაუდის სისწორის შემთხვევაში აღნიშნული შთანთქმის ზოლის ინტენსივობა უნდა შემცირებულიყო, ვინაიდან როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიბლონსა და პვს-ს შორის ურთიერთქმედება სიბლონის -OH ის ხარჯზე ხორციელდება. სპექტრების შედარებისას კი ჩანს, რომ -OH ჯგუფების რაოდენობა პრაქტიკულად უცვლელია. ვფიქრობთ, ამის მიზეზია ის, რომ სიბლონსა და პვს-ს შორის ურთიერთქმედებისას პვს-ის შემადგენლობაში შემავალი ყველა მიმდევრობითი -OH- ჯგუფი არ შედის ურთიერთქმედებაში ბოჭკოსთან. ამის მიზეზი პოლიმერების სტერიული ურთიერთშეთავსებადობაა. შედეგად, სიბლონის შემადგენლობიდან -OH ჯგუფების დანაკარგის კომპენსირება პვს-ის ჯაჭვში სიბლონთან შემაკავშირებელ ჯგუფებს შორის განლაგებული თავისუფალი -OH ჯგუფების ხარჯზე ხდება. საბოლოო ჯამში კი ჰიდროქსილის ჯგუფების საერთო რაოდენობა და აქედან გამომდინარე იწ გამოსხივების სპექტრზე შესაბამისი შთანთქმის ზოლის ინტენსივობა უცვლელია.



ნახ. 1. იწ-გამოსხივების შთანთქმის სპექტრები: 1 – ვისკოზა, 2 – სიბლონი

ამრიგად, ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სიბლონის ბოჭკოს ღებვის უნარიანობის გაუმჯობესება დაკავშირებულია ნართის ფორმირებისას მასში პეს-ის შეტანასთან. კერძოდ, ქსოვილის ფორმირების შემდეგ ბოჭკოს სტრუქტურაში პეს-ის მცირე რაოდენობა რჩება, რომელსაც შემდგომში საღებრის მოლეკულებთან ურთიერთქმედება და საღებრის მოლეკულების დამატებითი რაოდენობის მიერთება შეუძლია.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Мосешвили Т.В.* Особенности структуры и физико-механических свойств ткани, выработанной из бескруточной пряжи. Национальная академия наук Азербайджана. «Сборник известий». Гянджа. 2007, №25, с. 27-30.
2. *Кричевский Г.Е.* Химическая технология текстильных материалов. Москва. 2001, т.2, 640 с.
3. *Кричевского Г.Е.* Лабораторный практикум по химической технологии текстильных материалов. Москва, 1995, 380 с.
4. *Елит А.* Прикладная ИК-спектроскопия. Москва, 1982, 560 с.
5. *Кричевского Г.Е.* Методы исследования в текстильной химии. Москва: «Легпромбытиздат». 1993, 400 с.

### RESEARCH OF POSSIBILITIES OF DYEING HIGH MODULE VISCOSE FIBERS

Maia Sharabidze, Tamar Moseshvili, Elene Gamkrelidze  
The Akaki Tsereteli Kutaisi State University

### SUMMARY

The twistless yarn is a fibrous composite, in which parallel located fibres are glued among themselves by polyvinyl alcohol (PVA). The adhesive substance is washed away from the fabric after finishing. The complexes of parallel fibres are in the structure of fabrics instead of a twist yarn as a result.. The cross-linking bonds are formed between the primary hydroxyl of siblon and the free hydroxyl groups of PVA during of their interaction. Colourability of a siblon fibres significantly improve. By method of IR-spectroscopy established that the reason of it is possible chemical modification of siblon by PVA. It creates the additional active centers on a fibre for connection of molecules of dyes.

### ИССЛЕДОВАНИЕ ВОЗМОЖНОСТЕЙ КРАШЕНИЯ СИБЛОНА

М.Р.Шарабидзе, Т.В.Мосешвили, Е.А.Гамкrelидзе  
Кутаисский государственный университет им. Ак. Церетели

### РЕЗЮМЕ

Бескруточная пряжа это волокнистый композит, в которой параллельно расположенные волокна склеены между собой с помощью поливинилового спирта. После заключительной отделки суровой ткани клеящее вещество вымывается. При взаимодействии вискозных волокон с поливиниловым спиртом во время его активации образуются поперечные сшивные связи между первичным гидроксидом вискозы и свободными гидроксильными группами поливинилового спирта. Показано, что при крашении бескруточной сиблоновой пряжи и соответственно ткани, окрашиваемость волокна значительно улучшается. Методом ИК-спектроскопии установлено, что причиной этого является возможная химическая модификация сиблона адгезивом ПВС, что приводит к появлению дополнительных активных центров на волокне для присоединения молекул красителей.



## საყოფაცხოვრებო მოხმარების მიკროფილტრაციული მოწყობილობა სასმელი წყლის ბიოლოგიური გაუსნეპოვნებისთვის

რაულ გოცირიძე, ნინო მხეიძე, მერი ფიფაიშვილი, სვეტლანა მხეიძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის  
მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი*

ტექნოლოგიების სწრაფად განვითარებასთან ერთად თავი იჩინა სხვადასხვა ეკოლოგიურმა პრობლემამ. მათ შორის უმთავრესია სასმელი წყლის ხარისხი, მისი ბაქტერიოლოგიური და ქიმიური უვნებლობა.

მრავალწლიანი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სასმელი წყლის გაჭუჭყიანების მაჩვენებლები იმდენად არსებითი და ხშირია, რომ მოსახლეობისთვის ცენტრალიზებული წყალმომარაგებით მიწოდებულ წყალს პირობითად თუ შეიძლება ვუწოდოთ სუფთა. წყალში ჭარბადაა შეწონილი ნაწილაკები (სილა და თიხები) და მათზე ასოცირებული მიკროორგანიზმებიც, მათ შორის ზოგჯერ ისეთი მძიმე დაავადებების გამომწვევი, როგორცაა დიარეა, ქოლერა, გასტროენტერიტი, ვირუსული ჰეპატიტი [1].

წყლის გაწმენდის ტრადიციული მეთოდები, რომლებსაც იყენებენ სათაო წყალგამწმენდ ნაგებობებში (კოაგულაცია, დალექვა, ქვიშაში გატარება) არ არის საკმარისი, რადგანაც ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიების და ვირუსების 5%-მდე მინც რჩება წყალში. მათი ინაქტივაციისთვის ხშირად ქლორირებისას ხმარობენ ქლორის ჭარბ დოზას, რაც არამარტო აუარესებს სასმელი წყლის სუნს და გემოს, არამედ იწვევს მის გაჭუჭყიანებას ქლორორგანული ნაერთებით, რომელთა მიღება ხანგძლივი დროის განმავლობაში იწვევს უმძიმეს ონკოლოგიურ დაავადებებს [2].

ოზონირება ქლორირებასთან შედარებით ნაკლებ მავნეა, თუმცა ოზონის ბაქტერიოციდული მოქმედება არ არის ხანგძლივი, რადგანაც ის არამდგრადია და სწრაფად იშლება, წყალმომარაგების სისტემის გავლის შემდეგ კი წყალი კვლავ ბინძურდება. ულტრაიისფერი სხივები ითვლება „რბილ“ მადეზინფიცირებელ საშუალებად, მაგრამ მათი აქტივობა დამოკიდებულია წყლის სიმღვრივეზე და სინისტეზე [3].

ცენტრალური წყალმომარაგების ქსელი მოძველებულია და ადგილი აქვს არამარტო წყლის დანაკარგს მასში ტრანსპორტირებისას, არამედ ხშირად მის მეორად დაბინძურებას. მიკრობიოლოგიურ დაბინძურებას იწვევს აგრეთვე სისტემაში ხშირი რემონტებით გამოწვეული წყლის მიწოდების წყვეტილობაც.

მოსახლეობა გამოსავალს პოულობს ე.წ. „ჩამოსხმული“ წყლის მოხმარებაში, რაც არ არის გამართლებული არც ეკონომიურად და არც ეკოლოგიურად, რადგანაც ხშირად მას კონსერვაციის მიზნით დამატებული აქვს ქიმიური ნაერთები.

მომხმარებელს ინტერნეტ-საიტებზე [4-10] სთავაზობენ სასმელი წყლის ფილტრებს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც მოქმედების პრინციპით, ასევე კონსტრუქციული შესრულებით. ამ ფილტრებში წყლის გასასუფთავებლად ძირითადად ორი მეთოდია გამოყენებული- სორბციული და მემბრანული. პირველ შემთხვევაში სორბენტად გამოყენებულია აქტივირებული ნახშირბადი, აგრეთვე სხვადასხვა იონგაცვლითი ფისები. მემბრანული ფილტრაციის მეთოდით კი მემბრანა ასრულებს ერთგვარი მოლეკულური „საცერის“ ფუნქციას.


ფილტრაციული მოწყობილობების მრავალსაფეხურიან მოდულში ხშირად კომბინირებულია სორბციული და მემბრანული გაწმენდის მეთოდი. სორბციული მეთოდის უარყოფითი მხარეა ის, რომ ექსპლუატაციის გარკვეული პერიოდის შემდეგ სორბენტში ხდება გამჭუჭყიანების დაგროვება და მიკროორგანიზმების გამრავლება, რის შედეგად ადგილი აქვს გაფილტრული წყლის მეორად დაბინძურებას.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა სასმელი წყლის საყოფაცხოვრებო მოხმარების ფილტრის შექმნა, რომელშიც მფილტრავ მასალად გამოყენებული იქნებოდა თერმულად და ქიმიურად მდგრადი, განსაზღვრული ფორის ზომების მიკროფილტრაციული მემბრანები.

მემბრანული მეთოდებიდან ავირჩიეთ მიკროფილტრაცია, რადგანაც მიკროფილტრაციით წყალს სცილდება ბაქტერიები, პარაზიტები და ცისტები (ის მიკროორგანიზმები, რომელთა ზომები აღემატება 0,1 მკმ-ს), ანუ ამ შემთხვევაში სასმელი წყლის გასუფთავება და გაუსუნებოვნება ხდება ქიმიური რეაგენტების გამოყენების გარეშე, ამასთან წყალში უცვლელად რჩება ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელი მინერალური ნაერთები და მიკროელემენტები [11-13].

მემბრანა მიკროფილტრული მოწყობილობისთვის (ნახაზი 1) დამზადდა საწარმოო პოლიმერის - ფთოროპლასტის (FF-4) საფუძველზე. მემბრანის ფორების ზომაა 0,11 მკმ, გოფირებული მემბრანის საშუალო ფართობი 0.03 მ<sup>2</sup>. სხვა პოლიმერებისგან განსხვავებით ფთოროპლასტი მდგრადია აქტიური ქლორის მიმართ. მისი ქიმიური მდგრადობა გაცილებით აღემატება სხვა ტიპის პლასტმასების, ლითონების, მინის, ემალების და სხვა სინთეზური მასალების მდგრადობას [14].

მნიშვნელოვანია, რომ ფთოროპლასტი ეკოლოგიურად სუფთა მასალაა და მისი გამოყენება დაშვებულია მედიცინასა და კვების მრეწველობაში. დადგენილია, რომ ფთოროპლასტი თავად არ წარმოადგენს საკვებს მიკროორგანიზმებისთვის და არ უწყობს ხელს მათ გამრავლებას.



ნახაზი 1. მიკროფილტრაციული მოწყობილობა. 1. წყლის შესასვლელი; 2. ფილტრატის გამოსასვლელი; 3. კორპუსი; 4. ფილტრატის არხი; 5. სახურავი; 6. რეზინის საფენი; 7. მემბრანა; 8. პარაფინი


კვლევა ტარდებოდა სასმელ წყალზე, რომლის ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები განისაზღვრებოდა სტანდარტით დადგენილი მეთოდის მიხედვით [15].

ცხრილი 1. სასმელი წყლის ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებელი ფილტრაციამდე და ფილტრაციის შემდეგ

სიმღვრივე (მგ/ლ)		კოლი-ინდექსი	
ფილტრაციამდე	ფილტრაციის შემდეგ	ფილტრაციამდე	ფილტრაციის შემდეგ
0,25	0,00	240	<3
2,0	0,00	21	<3
2,0	0,00	>1100	3
2,0	0,00	460	<3
2,0	0,00	>1100	3
2,0	0,00	>1100	<3
0,75	0,00	<3	<3

ანალიზის შედეგებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასმელი წყლის ფილტრაციის პროცესი ხასიათდება მნიშვნელოვანი ბაქტერიოციდული ეფექტით. ფილტრატში აღინიშნება როგორც ბაქტერიების საერთო რიცხვის, ასევე თერმოფილური კოლიფორმების შემცირება.

ცხრილიდან ჩანს, რომ გაუფილტრავი წყლის სიმღვრივე საკმაოდ მაღალია, რაც იწვევს მემბრანის წარმადობის სწრაფ შემცირებას. წყლიდან მექანიკური მინარევების მოსაშორებლად გამოვიყენეთ ბოჭკოს ფილტრიც (ფორების ზომა 5 მკმ). ფილტრაციის პროცესში მექანიკური ფილტრის ჩართვამ გაზარდა მიკროფილტრული მოწყობილობის წარმადობა (ნახაზი 2).



ნახაზი 2 მემბრანის წარმადობის ცვლილება სასმელი წყლის ფილტრაციისას.

1 - მექანიკური ფილტრის გამოყენების შემდეგ; 2 - მექანიკური ფილტრის გამოყენების გარეშე.

რეგენერაციისთვის ჰიპოქლორიტის და ფთორწყალბადმჟავის გამოყენებამ საშუალება მოგვცა ფილტრაციული მოწყობილობის დაშლის და მემბრანის შეცვლის გარეშე მიგველო ქიმიურად და ბიოლოგიურად სუფთა წყალი ისე, რომ მასში შერნარჩუნებული ყოფილიყო სასიცოცხლო ფიზიოლოგიური ფუნქციის მატარებელი მინერალური მარილები, რასაც შეიცავს სასმელი წყალი მის გაფილტვრამდე.

რეგენერაციის შესაძლებლობამ გაზარდა ფილტრაციული მოწყობილობის ფილტრრესურსი, ანუ ექსპლუატაციის ვადა, რაც უპირატესობას ანიჭებს მას სხვა ფილტრებთან შედარებით.

ცხრილი 2. გაფილტრული წყლის ხარისხის მაჩვენებლები

პარამეტრი	ერთეული	სახელმწიფო სტანდარტით	ანალიზის შედეგები
<b>საერთო მაჩვენებლები</b>			
	–	6,5-8,5	7,35
სუნი	ბალი	2	1
გემო	ბალი	2	1
სიხისტე	მგ.ეკვ/ლ	<7	0,67
მშრალი ნაშთი	მგ/ლ	1000	72.5
ფერადოვნება	გრადუსი	20	<5
საერთო ტუტთანობა	გ.ეკვ/ლ	,5-6,5	2.2
პერმანგანატული დამჟანგველობა	მგ/ლ	5	1,1
<b>მიკრობიოლოგია</b>			
კოლი-ინდექსი	ერთ/100მლ	3	<3
0 მიკრობთა საერთო რაოდენობა	100ერთ/1მლ	<100	21
1 სტაფილოკოკი	ერთ/100მლ	არ აღინიშნება	არ აღინიშნება
2 ენტეროვირუსი	ერთ/100მლ	არ აღინიშნება	არ აღინიშნება

ჩვენს მიერ შემუშავებული მემბრანები და ფილტრაცია-რეგენერაციის მეთოდი არსებითად ხელს შეუწყობს წყლის მიკროფილტრაციული მეთოდით გაწმენდის ტექნოლოგიის შემდგომ სრულყოფას და სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესებას.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Загрязнение воды [http://www.zepternet.ru/pages/filter/o\\_vode/zagrazn-vody.htm](http://www.zepternet.ru/pages/filter/o_vode/zagrazn-vody.htm). 27.02.04
2. Водопроводная вода-польза и вред. <http://www.bestwater.ru/page/vodoprovodnaya-voda.html> 5.18.2008
3. Медриш Г.Л., Басин Д.А. Воздействие на воду УФ-лучами и фотолитическим озоном. //Водоснабжение и санитарная техника. 1990. №11. с 3-4
4. Очистка воды, фильтры очистки воды, станции очистки воды, удаление. [www.konversia.com/obog.htm](http://www.konversia.com/obog.htm)
5. Вода из-под крана [www.ecoflash.narod.ru/prensa\\_2.htm](http://www.ecoflash.narod.ru/prensa_2.htm)
6. Аква-Эталон>> О ВОДЕ [/www.aqua-etalon.com](http://www.aqua-etalon.com).
7. НПП „Технофильтр“ <http://www.techofilter.ru/tech-05.php>.
8. ЗАО НТУ „Владипор“ <http://www.Vladipor.ru/htm/partners.htm>.
9. ЗАО „Мембраны“ [www.membrany.ru/p\\_o\\_v.html](http://www.membrany.ru/p_o_v.html)
10. ООО НПП „БМТ“ <http://www.memb.by.ru/>.
11. Дытнерский Ю.И., Кочаров Р.Г. Некоторые проблемы теории и практики использования баромембранных процессов М. Журнал ВХО им. Д.И. Менделеева, т 32, 1987. №6 с 7-14
12. Laine I. M., Vial D., Moulart P. Status after 10 years of operation -overview of UF technology today //Proc. of the conf. on membranes in drinking and Industrial Water Production (Paris, 3-6 October). - 2000. v.
13. Каталевский Е.Е., Егоров К.Н. Мембранные методы в технологии водоподготовки. IV Международный симпозиум „Экология человека и медико-биологическая безопасность населения“, 2-10 ноября 2008, Испания г. Бенидром.
14. Справочник по пластическим массам М.: “Химия” том 1 1975. с. 447
15. Государственные стандарты СССР. Вода питьевая. Методы анализа. М. 1976. 190 с.

**HOUSEHOLD MICROFILTRATION DEVICE FOR BIOLOGICAL DISINFECTION OF WATER**

Raul Gotsiridze, Nino Mkhaidze, Meri Pipaishvili, Svetlana Mkhaidze  
*Scientific Research Institute of Membrane Technology, Engineering-Technological Faculty, Batumi Shota Rustaveli State University*

**SUMMARY**

We have produced filtration device which may be used in domestic conditions for biological purification of drinking water. For the purpose of filtration we use microfiltration membrane separating insoluble colloid particles and microorganisms from drinking water. Use of fluoroplastic membranes provides long operation life of membranes because of their multiple regeneration. Our filtration device is notable for its compactness, selectiveness, simplicity of operation. Water filtered by our device is not only pure and of pleasant taste, but “healthy”, as the microelements needed for human’s organism are preserved there.

**БЫТОВОЕ МИКРОФИЛЬТРАЦИОННОЕ УСТРОЙСТВО ДЛЯ БИОЛОГИЧЕСКОГО ОБЕЗВРЕЖИВАНИЯ ВОДЫ**

Р.Гоциридзе, Н.Мхеидзе, М.Пипаишвили, С.Мхеидзе  
*Научно-исследовательский институт мембранной технологии при инженерно-технологическом факультете Батумского Государственного университета им.Шота Руставели*

**РЕЗЮМЕ**

Нами изготовлено фильтрационное устройство, применение которого возможно в домашних условиях для биологической очистки питьевой воды. Для фильтрации воды использована микрофильтрационная мембрана, которая очищает питьевую воду от нерастворимых коллоидных и взвешенных частиц, а также от микроорганизмов. Использование нами фторопластной мембраны дает возможность продлить срок эксплуатации мембран благодаря их многократной регенерации. Изготовленное фильтрационное устройство отличается компактностью, селективностью, простотой эксплуатации. Профильтрованная в аппарате вода не только чиста и приятна на вкус, но и полезна, так как в ней сохранены жизненно необходимые для человеческого организма микроэлементы.

**სპილენძის კოლჩედანური ფლოტაციური კონცენტრატის დესულფურიზაცია  
ჟანგბადის ბარემოში**

ჯონდო გველესიანი, თინათინ ლეჟავა, მანანა მამფორია  
რაფიელ ავლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ფერადი მეტალურგიის ძირითადი ნედლეულია სულფიდური წარმოშობის წიაღისეული. დღეისათვის მისი გადაშემაკების ძირითად მეთოდს წარმოადგენს კლასიკური პირომეტალურგია, რომელიც ახორციელებს სულფიდური კონცენტრატებიდან გოგირდის ამოწვას SO<sub>2</sub>-ის სახით. ნედლეულის გადაშემაკებისათვის, ეკონომიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, წარმოებებში ძირითადად გამოიყენება ჰაერის ჟანგბადი. ტექნიკური ჟანგბადი გამოიყენება მხოლოდ ჰაერში ჟანგბადის კონცენტრაციის გასაზრდელად [1-3].


წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით მიმდინარე სამწლიანი პროექტის "სპილენძის სულფიდური კონცენტრატის გადაშემაკების ეფექტური პირომეტალურგიული ტექნოლოგიის დამუშავება" (გრანტი № GNSF/ST07/7-261) პირველი წლის კვლევის შედეგები. სტატიაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორთა ჯგუფს და შესაძლოა არ ასახავდეს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

კვლევის ობიექტია საქართველოს სპილენძის კოლჩედანური მადნის ფლოტაციური კონცენტრატი, რომლის ელემენტური შედგენილობა (%) მოცემულია ცხრ. 1.

ცხრილი 1. სპილენძის კოლჩედანური მადნის ფლოტაციური კონცენტრატის ელემენტური შედგენილობა

Cu	Fe	Zn	Na	K	Mg	Ca	Al	S	O	Si	H	C	Cd
16,48	24,375	3,60	0,37	0,166	0,24	0,50	0,21	30,16	17,349	4,67	0,48	0,24	1,16

დესულფურიზაციის პროცესის შესასწავლად გამოყენებულია კვარცის ორი ერთმანეთში კონცენტრულად განლაგებული მილისაგან დამზადებული ღუმელი (სურ.1), რომელსაც გააჩნია ფანჯარა ნიმუშზე ვიზუალური დაკვირვებისათვის გახურების პროცესში. ნიმუშები ღუმელში თავსდება ფანჯრის გასწვრივ კერამიკული ნაკვებით. ნიმუშების ზედაპირიდან ~5 მმ დაშორებით დაფიქსირებულია III-1 თერმოწყვილის შენადნობის ბოლო. ღუმელში ერთდროულად თავსდება ოთხი ნიმუში, რომელთა ამოღება წარმოებს შესაბამისი გრაფიკით. ამოღებისთანავე ნიმუშები თავსდება ექსიკატორში. ნიმუშები ექვემდებარება ქიმიურ და რენტგენოსტრუქტურულ ანალიზს, ნეიტრალურ და მჟავა გამოტუტვას 50 გ/ლ H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>-ის ხსნარით რეჟიმში: t=75<sup>0</sup>C, T=1 სთ, ინტენსიური მორევის პირობებში.




სურ. 1. კონცენტრატის თერმული დამუშავების ლაბორატორიული ღუმელის ესკიზი


კონცენტრატის ტექნიკური ჟანგბადის გარემოში თერმული დამუშავების (300-900<sup>0</sup>C) კვლევის შედეგად განისაზღვრა:

- ნიმუშებში ფაზური წონასწორობის დასამყარებლად საჭირო დრო და ნიმუშის გამოწვივით გამოწვეული მასის დეფიციტი;
- კონცენტრატში არსებული გოგირდის ქცევა;
- ნამწვების ნეიტრალური და მჟავა გამოტუტვის შედეგად ლითონების (Cu, Zn, Fe) ხსნარში გადასვლის ხარისხი.

კონცენტრატის თერმული დამუშავების ტემპერატურის ზრდასთან ერთად ფაზური წონასწორობის დასამყარებლად საჭირო დრო მკვეთრად მცირდება, გამოწვის შედეგად წარმოქმნილი მასის დეფიციტი გამოწვეულია მხოლოდ მისი მეტალოიდური კომპონენტების მასის ცვლილებით. ამის შედეგად ნამწვში სტაბილური კომპონენტების კონცენტრაცია იზრდება (სურ.2, 3).





სურ. 2. ნიმუშებში ფაზური წონასწორობის დასამყარებლად საჭირო დროის და ნამწვების მასის დეფიციტის დამოკიდებულება გამოწვის ტემპერატურაზე



სურ. 3. ნამწვში კომპონენტის მასური წილის დამოკიდებულება გამოწვის ტემპერატურაზე.


სურ. 4-ზე ნაჩვენებია გრაფიკები ნათელ წარმოდგენას იძლევიან კონცენტრატში არსებული გოგირდის გადანაწილებაზე სხვადასხვა ტემპერატურაზე წარმოქმნილ წონასწორობულ ფაზებს შორის-სულფიდები, სულფატები, აირადი SO<sub>2</sub>. მრუდებზე წარმოქმნილი ბაქნები გამოყოფენ მასულფატიზირებელი გამოწვის ტემპერატურის ფარგლებს. ამ უბანში სულფატწარმოქმნის შექცევადი რეაქციების –  $MeO + SO_3 \rightleftharpoons MeSO_4$  სიჩქარე აღწევს მაქსიმუმს (სურ.5), რაც მიუთითებს რეაქციის მიმართულების რევერსზე – სულფატები იწყებენ დაშლას. ეს დამჟანგველად ჰაერის გამოყენებასთან შედარებით [4] იწვევს მასულფატიზირებელი გამოწვის ტემპერატურის ფარგლების ზრდას ~100<sup>0</sup> – ით, რაც გამოწვეულია ნამწვ აირებში SO<sub>2</sub> –ის მაღალი კონცენტრაციით.

ნამწვების ნეიტრალურმა და მჟავა გამოტუტვამ (სურ.5) აჩვენა, რომ 300-600<sup>0</sup>C ფარგლებში სპილენძისა და თუთიის ქცევა თვისობრივად მსგავსია, მაგრამ რაოდენობრივად საკმაოდ განსხვავებული. ანალოგიური შედეგებია მიღებული ტემპერატურის იგივე ფარგლებში ჰაერის გარემოში Cu-Zn კონცენტრატის თერმული დამუშავებისას [5]. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით [4] SO<sub>2</sub> –ის წონასწორობი წნევები სპილენძისა და თუთიის სულფატებსა და სულფიდებს შორის რეაქციებისათვის, მნიშვნელოვნად განსხვავებულია:



◆ სულფატი  
■ სულფიდი  
▲ სულფიტი

სურ. 4. გოგირდის გადანაწილება ნამწვის წონასწორულ ფაზებში



◆ 1    ▲ 4    ■ 7  
◆ 2    ▲ 5    ■ 8  
◆ 3    ▲ 6    ■ 9

სურ. 5. ნამწვების ნეიტრალური და მჟავა გამოტუტვის შედეგად კომპონენტის ამოღების ხარისხის დამოკიდებულება ტემპერატურაზე: Cu – 1. ნეიტრალური; 2. მჟავა; 3. ჯამური; Zn - 4. ნეიტრალური; 5. მჟავა; 6. ჯამური; Fe - 7. ნეიტრალური; 8. მჟავა; 9. ჯამური

ცხრილი 2. ჟანგბადის გარემოში დამუშავებული კონცენტრატის ნიმუშების ფაზური შედეგნილობა ქიმიური ანალიზის მიხედვით (%)

ფაზა	ტემპერატურა, °C					
	300	400	500	600	750	900
CuSO <sub>4</sub>	21,35	34,77	39,9	25,2	—	—
ZnSO <sub>4</sub>	2,82	3,74	5,7	4,78	0,147	—
FeSO <sub>4</sub>	1,49	2,58	—	—	—	—
CuO.CuSO <sub>4</sub>	—	2,74	1,483	0,34	—	—
FeO.FeSO <sub>4</sub>	0,185	—	—	—	—	—
ZnO.ZnSO <sub>4</sub>	—	1,94	—	—	—	—
CuO	6,775	—	2,05	5,6	18,51	13,81
ZnO	2,14	1,02	1,88	2,38	4,25	3,56
FeO	7,046	6,07	7,96	5,875	3,43	2,14
ZnS	1,405	0,075	—	—	—	—
CuO.Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	—	—	0,075	12,81	27,86	41,2
ZnO.Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	—	—	0,148	0,816	5,227	7,638
FeO.Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	—	—	—	—	14,41	6,21
Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	9,191	23,74	25,44	20,46	—	—
Cu <sub>2</sub> O	—	—	—	—	0,31	0,412
Cu <sub>2</sub> S	—	0,26	0,27	0,28	—	—
CuFeS <sub>2</sub>	9,746	5,1	—	—	—	—
FeS <sub>2</sub>	18,021	—	—	—	—	—
სხვა დანარჩენი	19,831	17,96	15,094	21,5	25,856	25,03

ცხრილი 3. სპილენძის კოლჩედანური კონცენტრატის და მისი სხვადასხვა ტემპერატურაზე თერმული დაშლაებისას მიღებული ნაშვების რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მონაცემები

კონცენტრატი		300		400		500		600		750		900	
dα/n	I/I <sub>0</sub>	dα/n	I/I <sub>0</sub>	dα/n	I/I <sub>0</sub>	dα/n	I/I <sub>0</sub>	dα/n	I/I <sub>0</sub>	dα/n	I/I <sub>0</sub>	dα/n	I/I <sub>0</sub>
-	-	4,92	27	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	4,83	9
4,76	9	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	4,76	54	-	-	-	-	4,67	16	-	-	-	-
4,25	10	4,18	27	4,27	14	-	-	-	-	4,18	31	4,25	9
-	-	-	-	-	-	4,10	38	4,10	32	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	3,60	15	3,54	43	-	-
-	-	-	-	3,50	70	3,47	42	3,48	29	-	-	3,35	26
3,348	24	3,30	75	3,33	80	3,30	40	3,30	30	3,35	47	-	-
3,12	13	3,08	67	3,13	44	-	-	-	-	-	-	-	-
3,04	100	3,00	100	2,98	42	-	-	2,93	20	2,96	25	2,97	34
2,70	10	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	2,68	70	2,68	56	2,68	48	2,67	44	2,69	35	-	-
-	-	-	-	2,63	55	-	-	-	-	2,62	50	-	-
-	-	-	-	-	-	2,58	56	2,58	50	-	-	-	-
-	-	2,49	90	2,50	100	2,49	100	2,49	100	2,52	100	2,53	100
-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2,45	20	-	-
2,422	8	2,40	39	2,43	42	2,40	40	2,40	22	2,42	31	2,42	9
-	-	-	-	2,28	20	-	-	-	-	2,31	12	2,31	23
2,208	6	2,20	15	2,20	10	-	-	2,20?	10	2,20	12	-	-
-	-	2,08	12	2,10	28	2,08	10	2,10	14	2,09	16	2,09	22
-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2,08	16	-	-
-	-	1,97	24	1,97	20	1,95?	8	1,97	10	1,97	10	-	-
1,919	11	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1,909	10	1,89	45	-	-	-	-	1,89	15	-	-	-	-
1,855	26	1,84	75	1,84	28	1,82 ?	16	1,82?	10	1,84	19	1,86	5
1,841	8	-	-	-	-	-	-	-	-	1,81	10	-	-
-	-	1,76	20	1,78	20	1,76	22	1,76	10	1,77	17	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1,70	10	1,71	12
-	-	-	-	1,69	40	1,68	40	1,68	23	1,69	17	-	-
1,63	14	1,62	90	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1,59	14	1,59	61	1,60	30	1,59	40	1,60	35	1,61	23	1,61	33
1,57	8	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	1,53	20	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	1,47	51	1,48	35	1,49	39
-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1,47	34	-	-
CuFeS <sub>2</sub> , SiO <sub>2</sub> , ZnS, FeS <sub>2</sub> , CuSO <sub>4</sub>	CuFeS <sub>2</sub> , SiO <sub>2</sub> , ZnS, FeS <sub>2</sub> , Fe <sub>3</sub> S <sub>4</sub> , CuSO <sub>4</sub>	SiO <sub>2</sub> , ZnS, FeS <sub>2</sub> , Fe <sub>3</sub> S <sub>4</sub> , FeOOH, Cu <sub>2</sub> S, CuSO <sub>4</sub>	SiO <sub>2</sub> , ZnS, Fe <sub>3</sub> S <sub>4</sub> , CuOFe <sub>2</sub> O <sub>3</sub> , Cu <sub>2</sub> S, CuSO <sub>4</sub>	SiO <sub>2</sub> , ZnS, Fe <sub>3</sub> S <sub>4</sub> , CuOFe <sub>2</sub> O <sub>3</sub> , Cu <sub>2</sub> S, CuOCuSO <sub>4</sub> , Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	SiO <sub>2</sub> , CuOFe <sub>2</sub> O <sub>3</sub> , CuO	SiO <sub>2</sub> , CuOFe <sub>2</sub> O <sub>3</sub> , CuO Fe <sub>3</sub> O <sub>4</sub>							

ამრიგად, სპილენძის სულფატსა და სულფიდს შორის ტემპერატურის აღნიშნულ ზღვრებში ნათლად გამოხატული შეუთავსებლობაა, თუთიის სულფატი კი თავისივე სულფიდის მიმართ გაცილებით ტოლერანტულია. ექსპერიმენტულად მიღებული სპილენძისა და თუთიის ქცევის რაოდენობრივი განსხვავება მოტანილი მონაცემებით შეიძლება აიხსნას.

ნაშვებში სულფატური გოგირდის შემცველობის (სურ. 3, 4) და მათი ნეიტრალური და მჟავა გამოტუტვის შედეგად მიღებული მონაცემების (სურ. 5) საფუძველზე, აგრეთვე ამ მონაცემების



ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით განხორციელდა ნამწვებში არსებული წონასწორული ფაზების რაოდენობრივი გაანგარიშება (ცხრ. 2). ნამწვებში სულფატების შემცველობა მაქსიმუმს აღწევს 500<sup>0</sup>C-ზე (~40 %), შემდეგ ინტენსიურად იწყება ფერიტების წარმოქმნა, ხოლო კონცენტრატის სრული დესულფურიზაცია მიიღწევა 750<sup>0</sup>C ზევით. 900<sup>0</sup>C გამომწვარი ნიმუშის ძირითადი ფაზაა სპილენძის ფერიტი (41,2 %), ხოლო სულფიდური და სულფატური წონასწორული ფაზები მასში აღარ ფიქსირდება. ნამწვების რენტგენოსტრუქტურული ანალიზი ძირითადად ადასტურებს ქიმიური ანალიზის მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებული წონასწორული ფაზების არსებობას შესაბამის ნამწვებში (ცხრ. 3).

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Клушин Д.Н., Резник И.Д., Соболев С.И.* Применение кислорода в цветной металлургии. М., «Металлургия» 1973.
2. *Бочкарёв Л., Быховский Ю., Донец С.* Кислородно-факельная плавка. М. «Цветметинформация» 1974.
3. *Гудима Н. В., Шейн Я.П.,* «Краткий справочник по металлургии цветных металлов», М., «Металлургия» 1975. с. 125.
4. *Смирнов В. А.* «Металлургия меди и никеля». Учебник М., «Металлургиздат», 1950, ст.92.
5. *Гвелесиани Дж., Лежава Т., Гагნიдзе Ц., Мампорია М. и др.* Ж «Обогащение руд». 2006. №3, с 44-48.

### DESULPHURIZATION OF COPPER PYRITE FLOTATION CONCENTRATES IN OXYGEN MEDIUM

Jondo Gvelesiani, Tinatin Lezhava, Manana Mamporia  
*R. Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry*

#### SUMMARY

The process of complete desulphurization of copper pyrites flotation concentrates is considered in technical oxygen medium. Within 300-900<sup>0</sup>C are determined: the duration of phase equilibrium establishment in cinders; mass deficit; sulfur behavior and equilibrium phases variation.

### ДЕСУЛЬФУРИЗАЦИЯ МЕДНО-КОЛЧЕДАННОГО ФЛОТАЦИОННОГО КОНЦЕНТРАТА В КИСЛОРОДНОЙ СРЕДЕ

Дж.Ф.Гвелесиани, Т.Лежава, М.Г.Мампорია  
*Институт неорганической химии и электрохимии им. Р.И.Агладзе*

#### РЕЗЮМЕ

Изучен процесс полной десульфуризации медно-колчеданного флотационного концентрата в атмосфере технического кислорода. В пределах 300-900<sup>0</sup>C определена длительность установления фазового равновесия в огарках, дефицит массы, поведение серы и изменение равновесных фаз.

## დარიშხანის უმცველი მადნებიდან მაღალი სისუფთავის დარიშხანისა და მისი ზოგიერთი ნაერთის მიღების ახალი ტექნოლოგიის დამუშავება

მერაბ კერესელიძე, იუზა ფულარიანი, ვაჟა ბაძოშვილი, ამირან რუხაძე\*  
 ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი  
 \*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოთხოვნილება განსაკუთრებული სისუფთავის დარიშხანისა და მის ნაერთებზე მსოფლიოში გამუდმებით იზრდება და ჯერ კიდევ არ არის სრულად დაკმაყოფილებული. ამ დროს საქართველოში მოიპოვება დარიშხანის შემცველი უნიკალური მადნები სულფიდების, თიოარსენიდების, არსენიდების, თიოარსენატებისა და ოქსოარსენატების სახით, რომელთაგან არსებითი მნიშვნელობა აქვს სულფიდურ მადანს. აღნიშნული ნედლეულიდან განსაკუთრებული სისუფთავის დარიშხანის, მისი ნაერთების მიღების პროცესების მეცნიერული საფუძვლების დამუშავებას და მათი ადგილზე წარმოების ორგანიზებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მეცნიერებისა და ეკონომიკის განვითარებისათვის.

ლითონური დარიშხანისა და მისი ნაერთების წარმოების ძირითად წყროს წარმოადგენს დარიშხანი(III)-ის ოქსიდი-თეთრი დარიშხანი, რომლის სისუფთავე ფაქტიურად განსაზღვრავს დარიშხანის ყველა სხვა პრეპარატის ხარისხს, რომლის წარმოების ტექნოლოგია დამყარებულია რეალგარ-აუროპიგმენტის მადანში არსებული დარიშხანის ჰაერის ჟანგბადით თერმულ ჟანგვაზე ოქსიდამდე ( $As_2O_3$ ) სპეციალურ ლუმელში და მის შემდგომ რაფინირებაზე.


ჩვენს მიერ ადრე შესრულებული სამუშაოების შედეგებისა და ლიტერატურული მონაცემების ანალიზი [1,2,3] მოწმობს, რომ მადნებიდან დარიშხანის სრული ამოღებისა და სუფთა თეთრი დარიშხანის მიღება მოითხოვს რამდენიმე ფიზიკურ-ქიმიური პროცესის განხორციელებას [3], კერძოდ, კონცენტრაციიდან სუფთა დარიშხანის სულფიდების სუბლიმაცია და მისი დაჟანგვა  $As_2O_3$ -მდე განხორციელებულია სპეციალურ რეაქტორში და ციკლონურ დამჭერებში. შექმნილია სპეციალური ლუმელი, რომელიც უზრუნველყოფს დარიშხანის სულფიდური მადნებიდან სუფთა სულფიდების ამოღებას და მისგან სუფთა თეთრი დარიშხანის ( $As_2O_3$ ) მიღებას. დადგენილია სულფიდური მადნების შემადგენელი კომპონენტებიდან ( $FeS$ ,  $Sb_2S_3$ ,  $Cz$ ,  $N_2$ ,  $Zn$  და სხვა) დარიშხანის სუფთა სულფიდის სელექტიური გამოყოფის ტექნოლოგიური ინტერვალი. იგი შეადგენს  $615-650^{\circ}C$ , რაც მნიშვნელოვნად დაბალია არსებული, სხვა ტექნოლოგიით დადგენილ ტექნოლოგიურ ინტერვალთან შედარებით ( $900-1000^{\circ}C$ ), რაც განაპირობებს ენერგოდანახარჯების დიდ ეკონომიას.

სუფთა დარიშხანის სულფიდის სუბლიმაციისა და ჰაერით დაჟანგვის პროცესის აირად ფაზაში განხორციელების მიზნით შექმნილია სპეციალური დანადგარი(სურ. 1), რომელიც შედგება ექვტორის, შემრევი რეაქტორის, საკრისტალიზაციო ციკლონების, ნეიტრალიზატორისაგან და რომელშიც შექმნილია სუბლიმაციის, დიფუზიისა და სრული კრისტალიზაციისათვის საჭირო პირობები.

პროცესის უწყვეტ რეჟიმში განხორციელებისას ადგილი აქვს ბუნკერებსა და კრისტალიზატორში  $As_2O_3$ -ისა და სუფთა დარიშხანის ჟანგის (III) დაგროვებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს პროცესის წყვეტა და ტექნოლოგიური ციკლის დინამიკის დარღვევა. ამ მოვლენის თავიდან აცილების მიზნით დამუშავებული იქნა ახალი ორიგინალური კონსტრუქცია ბუნკერსა და ციკლონებს შორის ჩამკეტი „დროსელის“ ბლოკის სახით, რაც საშუალებას იძლევა ჩამკეტი „დროსელი“-ს მეშვეობით მოეახდინოს ბუნკერების მოხსნა ტექნოლოგიური პროცესის შეუწყვეტლად.

ბუნკერი თავისუფლდება სუფთა დარიშხანის ჟანგის  $As_2O_3$ -ის კრისტალებისგან, რომელიც გროვდება როგორც მზა პროდუქცია და ინახება. შემდგომ ამისა ბუნკერი თავსდება თავის ადგილზე (ჩამკეტი დროსელის ქვემოთ), იხსნება ჩამკეტი და გრძელდება  $As_2O_3$ -ის დაგროვება.

დარიშხანისა და ფერადი ლითონების შემცველი მადნების მეტალურგიული გადამუშავების პროცესში ადგილი აქვს ატმოსფეროში ტოქსიკურ ნივთიერებათა გამოყოფას. გარდა ამისა, დარიშხანის შემცველი მადნების გადამუშავების მყარ ნარჩენებში დარიშხანის შეცველობა 3-დან 5%-მდე მერყეობს. არსებული დამჭერები და ნეიტრალიზატორები ვერ უზრუნველყოფენ ბუნების დაცვის ნორმატივებს, რაც განაპირობებს გარემოს ძლიერ დაბინძურებას.



**ნახაზი 1.** დარიშხანის სულფიდური მადნების გადამუშავების ტექნოლოგიური სქემა

1 – დარიშხანის ნელღეულის ბუნკერი; 2 – ღუმელი; 3 – კომპრესორი; 4 – ეექტორი; 5 – შემრევი რეაქტორი; 6 – ციკლონ-დამჭერები; 7 – “დროსელები”; 8 – ნეიტრალიზატორი

ჩვენს მიერ დამუშავებული ახალი ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისას ტოქსიკური ნივთიერებების გამოყოფა მკაცრი ეკოლოგიური სტანდარტის ფარგლებშია, რადგან სპეციალური ციკლონ-დამჭერები უზრუნველყოფენ ტოქსიკური ნივთიერებების თითქმის სრულ გამოკრისტლებას. იმ შემთხვევაში თუ დაუკრისტალბელი დარჩა მცირე რაოდენობის ამორფული კრისტალები, მათი დაჭერა შესაძლებელია სპეციალური ნეიტრალიზატორის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს მის გადაყვანას დარიშხანის არსენატში ( $\text{NaHAsO}_4$ ), რომელიც გამოიყენება მზა პროდუქტის სახით (მაგ: ტყავის წარმოებაში, შპალების დასამზადებლად და სხვა რეაქტივების მისაღებად). გამომდინარე იქიდან, რომ მბრუნავ ელ. ღუმელში სრულად ხდება დარიშხანის ამოღება, ნამწვში მისი შემცველობა არ აღემატება 1%-ს, რაც დასაშვებ ფარგლებშია.

შემოთავაზებული ტექნოლოგია საშუალებას იძლევა:

- 1) მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ რეგიონის ეკოლოგიური გარემო;
- 2) გავზარდოთ დარიშხანის მადნებიდან დარიშხანის ამოღების ხარისხი; ძველად არსებული 80-82%-დან 98-99%-მდე;
- 3) პროცესის ტემპერატურის  $900-1000^{\circ}\text{C}$ -დან  $615-650^{\circ}\text{C}$ -მდე შემცირების გამო საგრძნობლად შევამციროთ ენერგეტიკული დანახარჯები;
- 4) შევამციროთ პროცესის ხანგრძლივობა 4-6 სთ-დან 1,5-2 სთ-მდე.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. *Генварский А.Н.* Производство мышьяка. Ленинград: Главная редакция литературы по цветной металлургии, 1936.
2. *Басов А.И.* Механическое оборудование заводов тяжёлых цветных металлов. Москва: Гос. Научно-техническое издательство по чёрной и цветной металлургии, 1961, т. 1, с. 12.
3. Отчёт «Изучение распределения мышьяка в биосфере». Тбилиси: ТГУ, 1965, с. 62.

**DEVELOPMENT OF NEW TECHNOLOGY OF OBTAINING HIGH PURITY ARSENIC AND ITS COMPOUNDS FROM ARSENIC CONTAINING ORES**

Merab Kereselidze, Iuza Pulariani, Vaja Badzoshvili, Amiran Rukhadze\*

*Ferdinand Tavadze Institute of Metallurgy and Materials Science**\*Ivane Javakhishvili Tbilisi State University***SUMMARY**

There is developed new, ecologically clean and recourse-saving technology of obtaining super purity arsenic and its oxide from arsenic containing ores and waste. There is constructed a plant permitting of continuously conducting arsenic sublimation, oxidation and crystallization processes. There is established temperature interval permitting maximum output of target product, which is 625-650°C instead of 900-1000°C fixed in the other technologies. At that, process duration makes up 1,5-2 hours. With this technology is possible extraction of arsenic from waste of its containing ores treatment.

**РАЗРАБОТКА НОВОЙ ТЕХНОЛОГИИ ПОЛУЧЕНИЯ МЫШЬЯКА ВЫСОКОЙ ЧИСТОТЫ И ЕГО НЕКОТОРЫХ СОЕДИНЕНИЙ ИЗ РУД, СОДЕРЖАЩИХ МЫШЬЯК**

М.В. Кереселидзе, Ю.И. Пулариани, В.И. Бадзошвили, А.Д. Рухадзе\*

*Институт металлургии и материаловедения им. Ф.Н.Тавадзе**\*Тбилисский государственный университет им. Иване Джавахишвили***РЕЗЮМЕ**

Разработана новая, экологически чистая и ресурсосберегающая технология получения особо чистого мышьяка и его оксида из руд и отходов, содержащих мышьяк. Оборудована установка, позволяющая непрерывно вести процесс сублимации, окисления и кристаллизации мышьяка. Установлен температурный интервал, обеспечивающий максимальный выход целевых продуктов, который составляет 615-650<sup>0</sup>С в отличии установленного в других технологиях – 900-1000<sup>0</sup>С. Продолжительность процесса при этом составляет 1,5-2 часа. С помощью этой технологии возможно извлечение мышьяка из отходов переработки руд, которые содержат мышьяк.

## ქიმიური ტექნოლოგია

## მანგანუმშემცველი ნედლეულის ალდგენითი გამოწვის პროცესის სრულყოფა

თემურ ჩახუნაშვილი, თამარ მესტირიშვილი, ნანული ბუთლიაშვილი, გიული გობეჩია, მერაბ დადუნაშვილი, ჟიული ქებაძე, თეიმურაზ როყვა, დალი ექვთიმიშვილი  
რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მანგანუმის მადნების ალდგენის პირობულურული მეთოდი – მათი ალდგენითი გამოწვა მბრუნავ დოლურ ლუმელებში მაღალ ტემპერატურაზე (700-900°C) მყარი ალდგენების (კოქსი, ხის ნახშირი, ქვანახშირი, ანტრაციტი) გამოყენებით, ერთ-ერთი ყველაზე ძველი და პრაქტიკაში გავრცელებული მეთოდი [1]. უკანასკნელ ათწლეულებში გავრცელება ჰპოვა ალდგენითი პროცესის ჩატარებამ აირადი ალდგენების გამოყენებით, როგორცაა ბუნებრივი აირი, ბუნებრივი აირის არასრული წვის პროდუქტები, ბუნებრივი აირის კონვერსიით მიღებული წყალბადი, რაც ტექნიკური თვალსაზრისით წინადადებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს [2]. მაგრამ ბუნებრივი აირის მკვეთრმა გაძვირებამ, რასაც უკანასკნელ წლებში აქვს ადგილი, დღის წესრიგში კვლავ დააყენა მყარი ალდგენის – ქვანახშირის გამოყენების საკითხი. განსაკუთრებით მიზიდავლი ჩანს ალდგენად ქვანახშირის გამოყენების საკითხი შემდეგი ორი მიზეზის – სიაფისა და მისი ადგილზე (საქართველო, ტყიბული) მოპოვების შესაძლებლობის გამო, რაც მანგანუმშემცველი ნედლეულის ალდგენის პროცესის მნიშვნელოვან გამარტივებასა და გაიაფებას გამოიწვევს. გარდა ამისა, აქამდე გავრცელებული მეთოდის – ალდგენი მადნის საჭირო ტემპერატურამდე გასურებისთვის ბუნებრივი აირების წვის პროდუქტების გამოყენების მაგივრად ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ელექტროენერგიით გასურება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მუფელის ტიპის მბრუნავ დოლურ ლუმელებში, რომლებსაც რიგი უპირატესობები გააჩნია ანალოგიური დანიშნულების სხვა მბრუნავ ლუმელებთან შედარებით, როგორცაა პროცესის მართვის გამარტივება და ავტომატიზაციის შესაძლებლობა, მაღალი მ.კ., ეკოლოგიურობა და მუშაობის უსაფრთხო პირობები (აფეთქების შესაძლებლობის გამორიცხვა). რაც შეეხება ელექტროენერგიის ხარჯს მადნის 800-900°C ტემპერატურამდე გასასურებლად, ის შეადგენს 400-600 კვტ.სთ.-ს 1 ტონა მადანზე (მანგანუმშემცველ ნედლეულზე), მაშინ როცა მანგანუმის ფეროშენადნობების მიღების დროს ელექტროენერგიის ხარჯი რამდენჯერმე მეტია და შეადგენს 3000-6000 კვტ.სთ.-ს ერთ ტონა პროდუქტიაზე [3].

ჩვენს მიერ ჩატარებულია რუსთავის ყოფილი ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის (ემდ) მსხვილტონაჟიანი წარმოების მანგანუმშემცველი ლამის მაღალტემპერატურული ალდგენის ლაბორატორიული ცდები პოლონური წარმოების პერიოდული მოქმედების მუფელის ლუმელში (მარკა PEM2/86). ლამი შეიცავდა 28,5% მანგანუმს და 18% MnO<sub>2</sub>-ს. ალდგენად გამოიყენებოდა ტყიბულის ქვანახშირი, რომელიც შეიცავდა 79,2% ნახშირბადს და 5,5% წყალბადს ნაერთის სახით.

ცდები ტარდებოდა 700, 800 და 900°C ტემპერატურაზე. ცდებისათვის აღებული ლამის მასა შეადგენდა 500 გ-ს, ხოლო ალდგენის – ქვანახშირის მასა იცვლებოდა ფარგლებში 20გ-დან 40გ-მდე. ლამის ძირითადი მასის ნაწილაკების ზომა იყო – 0,1 მმ, ხოლო ქვანახშირის მარცვლებისა – 0-10 მმ. ამიტომ წინასწარ ხდებოდა ქვანახშირის დაწვრილმანება ფაიფურის ჯამში. შემდეგ მას ვურევდით ლამის ფხენილს და ვატარებდით მათ ერთობლივ გადასრესას 2 საათის განმავლობაში. აღსადგენად მომზადებული კაზმი იყრებოდა უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებულ ცილინდრულ ჯამში, ეხურებოდა ხუფი და თავსდებოდა წინასწარ საჭირო ტემპერატურამდე გაცხელებულ მუფელის ლუმელის საკანში. მოცემული ტემპერატურის შენარჩუნების ცდომილება ლუმელში შეადგენდა 10°C. სინჯის სარეაქციო ზონაში დაყოვნების ხანგრძლივობა იყო 1,5-2 სთ. ამის შემდეგ სპეციალური სამარჯვების საშუალებით ჯამი გადმოიდგებოდა ლუმელიდან და თავსდებოდა ცივ წყლიან ვარცლში სწრაფად გასაცივებლად.

ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ ლამში მანგანუმის ალდგენის ხარისხი იზრდება ტემპერატურის ზრდით და მასური თანაფარდობის – ლამი : ქვანახშირი შემცირებით. 100%-იანი ალდგენა მიღწეული იყო 900°C ტემპერატურაზე და 15-ის ტოლი M<sub>ლამი</sub> : M<sub>ქვანახშირი</sub> მასური თანაფარდობის დროს. ალდგენის შემდეგ Mn-ის შემცველობამ ნიმუშებში მოიმატა და მიაღწია 34,9±36,0%-ს.

ექსპერიმენტები, მიღებული დადებითი შედეგების ოპტიმიზაციის მიმართულებით, ჩატარდა ზემოაღნიშნული მუფელის ლუმელში.

აღდგენის პროცესის ოპტიმიზაცია პირველ რიგში გულისხმობს აღდგენისა (ქვანახშირის) და ელექტროენერჯის ხარჯის შემცირებას აღდგენილი ნედლეულის მასის ერთეულზე გადაანგარიშებით აღდგენის მაღალი ხარისხის შენარჩუნების პირობებში. ამიტომ აღდგენის ცდები მუფელის ლუმელში ტარდებოდა აღდგენის ტემპერატურის დაწვეისა და აღდგენის ხარჯის შემცირების მიმართულებით. ჩატარებული კვლევების შედეგები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. კვლევების შედეგები

ცდის №	ლამის მასა, გ		მასური თანაფარდობა ლამი:ქვანახშირი	აღდგენის ტემპერატურა, °C	ცდის ხანგრძლივობა, სთ	აღდგენილი ლამის შემადგენლობა, %			შენიშვნა
	აღდგენამდე*	აღდგენის შემდეგ				Mn	MnO <sub>2</sub>	Fe	
1	500+30=530*	382,5	16,7:1	900	2	35,96	0,0	-	კაზმი მომზადდა ლაბორატორიულ პირობებში
2	500+25=525	393,5	20:1	800	2	39,0	0,0	-	
3	500+20=520	396,5	25:1	800	2	37,57	1,86	-	
4	500+25=525	411,5	20:1	800	1,5	35,62	0	2,1	კაზმი მომზადდა საცდელ დანადგარზე
5	500+25=525	423,0	20:1	750	1,5	36,0	0,34	2,1	
6	500+25=525	398,8	20:1	700	1,5	36,0	2,4	2,8	

\* პირველი რიცხვი (500) აღნიშნავს აღსადგენად აღებული ლამის მასას, ხოლო მეორე რიცხვი – ქვანახშირის მასას

როგორც ცხრილიდან 1 ჩანს, ლამი:ქვანახშირის მასური თანაფარდობის გაზრდა 16,7:1-დან 25:1-მდე და ტემპერატურის დაწვევა 900°C-დან 800°C-მდე იწვევს აღდგენილ შლამში MnO<sub>2</sub>-ის გაჩენას, თუმცა საკმარისად მცირე ოდენობით (ცდები 1 და 3). ტემპერატურის შემდგომი შემცირება 700°C-მდე უკვე იწვევს MnO<sub>2</sub>-ის წარმოქმნას აღდგენილ ლამში 2%-ზე უფრო მეტი ოდენობით. აქედან გამომდინარე, მანგანუმშემცველი ლამის ტყობულის ქვანახშირით აღდგენის ოპტიმალურ პირობებად უნდა ჩაითვალოს შლამი:ქვანახშირის მასური თანაფარდობა 20:1-ის ტოლად, ხოლო აღდგენის ტემპერატურა 750÷800°C-ის ფარგლებში.

ლაბორატორიულ პირობებში ლამის ქვანახშირით აღდგენის ოპტიმალური რეჟიმის დადგენის შემდეგ ცდები გაგრძელდა ემდ-ის მისაღებ საცდელ-სადემონსტრაციო დანადგარზე, რომელიც მდებარეობს რაფიელ აგლადის არარეგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის საცდელ დანადგართა კორპუსში და უჭირავს ~100 მ<sup>2</sup> ფართობი. საცდელ-სადემონსტრაციო დანადგარი შედგება რამდენიმე კვანძისაგან. ესენია ნედლეულის მომზადების, აღდგენის, გამოტუტვისა და მინარეგებისაგან გაწმენდის, ელექტროლიზისა და ემდ-ის ანოდური ნალექის გადაშუშავების კვანძები.

ცნობილია, რომ საწყისი მანგანუმშემცველი ნედლეულის წინასწარ მომზადებას მისი შემდგომი ქიმიურ-ტექნოლოგიური გადამუშავებისათვის (აღდგენითი გამოწვა, გამოტუტვა და სხვა) დიდი მნიშვნელობა აქვს მიზნობრივი პროდუქტის მიღების პროცესის სწორად წარსამართად.

ამიტომ კაზმის მისაღებად საცდელ-სადემონსტრაციო დანადგარის მანგანუმშემცველი ნედლეულის წინასწარი მომზადების კვანძზე შესრულდა შემდეგი გამსხვილებული მასშტაბის ექსპერიმენტული სამუშაოები: ტყობულის ქვანახშირის დამსხვრევა ყებთან სამსხვრეველაზე (ორჯერ გატარება სამსხვრეველაში), საწყისი ნედლეულის – რუსთავის ემდ-ის წარმოების ნარჩენი ლამის გატარება ვიბროსაცერში (20მმ-იანი კომბების მოცილება), გაცრილი ლამისა და სამსხვრეველაში გატარებული ქვანახშირისაგან კაზმის მომზადება, გაშრობა ელექტრულ საშრობში, კაზმის დაფქვა და გადასრესა ორსაქნიან დოლურ წისქვილში, გამომშრალი და გადასრესილი ლამის ხელმეორედ გატარება ვიბრო-საცერში (საცრის ბადის უჯრედის ზომა 0,25 მმ). ერთ ოპერაციაზე სულ მიიღებოდა აღსადგენად გამზადებული 90-100 კგ კაზმი, რომელიც ხასიათდებოდა საჭირო ტექნოლოგიური თვისებებით იყო ერთგვაროვანი და ფხვიერი.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარების დროს პროცესი აკმაყოფილებდა ტექნოლოგიური პარამეტრების შემდეგ მნიშვნელობებს:

1. ქვანახშირის საწყისი დისპერსულობა	0-20 მმ
2. დისპერსულობა დამსხვრევის შემდეგ	0-5 მმ
3. ყბებიანი სამსხვრეველას წარმადობა ქვანახშირზე	140 კგ/სთ
4. საწყისი მანგანუმშემცველი ლამის გამოცხრილვის სიჩქარე (ცხრილის უჯრედის ზომა 20მმ)	500კგ/სთ·მ <sup>2</sup>
5. მანგანუმშემცველი ლამის საწყისი ტენიანობა	7-8%
6. მანგანუმშემცველი ლამის საბოლოო ტენიანობა	1-2%
7. კომპონენტების მასური თანაფარდობა კაზში – კაზმი:ქვანახშირი	20:1
8. კაზმის შრობის მაქსიმალური ტემპერატურა ელექტრულ საშრობში	170-180°C
9. კაზმის შრობის საშუალო სიჩქარე ელექტრულ საშრობში	6-8კგ/სთ·მ <sup>2</sup>
10. კაზმის გადასრევის სიჩქარე დოლურ წისქვილში	40კგ/სთ
11. კაზმის ვიბროსაცერში გამოცხრილვის სიჩქარე	200-220კგ/სთ·მ <sup>2</sup>
12. მზა კაზმის დისპერსულობა	0-1 მმ

მოკლედ შევხვით ჩვენს მიერ დამუშავებული და დამზადებული უწყვეტი მოქმედების მბრუნავი დოლური ელექტროლუმელის კონსტრუქციას.

ლუმელის ძირითადი კონსტრუქციული კვანძი არის მხურვალმედვი ფოლადისაგან დამზადებული გრძელი დოლი (მილი), რომლის სიგრძეა 2800 მმ, დიამეტრი 140 მმ, კედლის სისქე 8 მმ. დოლი შედგება ორი ზონისაგან: ალდგენის ზონა (სიგრძე 2000 მმ) და გაცივების ზონა (სიგრძე 800 მმ). მუშა მდგომარეობაში დოლი ეყრდნობა მისი ალდგენის ზონის თავსა და ბოლოსთან განლაგებულ ოთხ საყრდენ გორგოლაჭს. დოლი დახრილია მზა პროდუქტის გამოტვირთვის მხარეს და საყრდენი გორგოლაჭებიდან ჩამოცურების თავიდან ასაცილებლად ალდგენისა და გაცივების ზონების დამაკავშირებელი მილყელით ეყრდნობა საბჯენ გორგოლაჭს. ლუმელის საყრდენი გორგოლაჭები თავიანთი ფეხებით ჭანჭიკური შეერთებით დაკავშირებულია ნახშირბადოვანი ფოლადისაგან დამზადებული მაგიდის ზედაპირზე (მაგიდის სიგრძე 2200 მმ, სიგანე 600 მმ, სიმაღლე 1000 მმ), რაც განაპირობებს ლუმელის მთლიანი კონსტრუქციის მექანიკურ მდგრადობასა და სიმტკიცეს. ლუმელის დოლის ჰორიზონტისადმი დახრის კუთხე იცვლება 0-10°-ის ფარგლებში, რაც მიიღწევა ფოლადის მაგიდის ცალი მხრიდან აწევით ჰიდრაულიკური წნეხის პრინციპზე მომუშავე დომკრატის საშუალებით (ძალვა 2,0 ტონა).

ალსადგენი კაზმის მიწოდება მბრუნავ დოლში ხდებოდა ბუნკერიანი შნეკური მკვებავის საშუალებით. ლუმელში წარმოქმნილი აირების გარეთ გამოსვლის თავიდან აცილება ხდებოდა ბუნკერში კაზმის მუდმივი დონის შენარჩუნებით, რაც, თავის მხრივ, მიიღწეოდა ყოველ 10-15 წუთში ბუნკერში კაზმის გარკვეული რაოდენობის ჩაყრით). შნეკის თავის შეუღლება მბრუნავი დოლის გვერდით ზედაპირთან ხდებოდა გრაფიტოვანი შემჭიდროების საშუალებით. კაზმის ინტენსიური არევისა და განტვირთვის მხარეს მისი საკმარისი სიჩქარით გადაადგილების უზრუნველსაყოფად დოლის შიგა ზედაპირზე მისი ღერძის პარალელურად ჭანჭიკური შეერთებით მიმაგრებული იყო მხურვალმედვი ფოლადისაგან დამზადებული ოთხი კუთხოვანა, თითოეული სიგრძით – 1500 მმ.

რაც შეეხება დოლის ამძრავს, იგი შედგება ელექტროძრავისაგან, ღვედური გადაცემისაგან, ცილინდრული რედუქტორისაგან და ვარსკვლავა გადაცემისაგან, რაც საშუალებას იძლევა დოლის ბრუნთა რიცხვი დაყვანილი იყოს საჭირო სიდიდემდე – 5 ბრ/წთ-მდე.

ლუმელის გახურების ზონა თავის მხრივ შედგება სამი ქვეზონისაგან, რომლებსაც ცალ-ცალკე გახურების კონტურები აქვთ (ნიქრომის სპირალით გახურება, თითოეული 4 კვტ სიმძლავრით).

მბრუნავი ლუმელი აღჭურვილია საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოებით: სამი ქრომელ-ალუმელის თერმოწყვილით ალდგენის ზონის ქვეზონებში ტემპერატურის გასაზომად, -ს მაგვარი მანომეტრით ლუმელის შიგა ჭარბი წნევის გასაზომად, ნახშირბადის მონოოქსიდის შენობაში გამოყოფის აღმომჩენი ხელსაწყოთი.

მბრუნავი დოლური ელექტროლუმელის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის მაღალი მქკ-ის მიღწევის შესაძლებლობა სწორი კონსტრუქციის, დამზადებისა და ექსპლუატაციის პირობებში. ეს კიდევ ერთხელ დაგვანახა ლუმელის თბური რეჟიმის გამოცდამ. თბური დანაკარგებისათვის ეფექტური

ბარიერის შესაქმნელად ლუმელის დოლი ყველა მხრიდან გარშემორტყმულია ცეცხლგამძლე აგურისაგან დამზადებული 150 250 მმ სისქის ძირით, კედლებითა და სახურავით. მიუხედავად ამ დამცავი ღონისძიებისა და გამახურებლების საკმარისი ჯამური სიმძლავრისა (12 კვტ), აღნიშნულ პირობებში ლუმელის საჭირო ტემპერატურამდე გაცხელება საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა: დროში ძალიან გაიწვლა (განსაკუთრებით ნელა იზრდებოდა ტემპერატურა 550-600 ჩ ტემპერატურის ზემოთ). ეს, ცხადია, გამოწვეული იყო დიდი თბოდანაკარგებით. ამის შემდეგ ლუმელს გაუკეთდა 50 მმ სისქის უცხოური წარმოშობის მინაბამბის თბოიზოლაცია, მაგრამ მან ტემპერატურის მატებას ვერ გაუძლო და დაიწყო დაშლა მკვეთრი სუნის მქონე გაზების გამოყოფით.

გარკვეული ძიების შემდეგ არჩევანი გაკეთდა ბაზალტის ბოჭკოს ქეჩაზე, რომელიც სამრეწველო მასშტაბით იწარმოება საქართველოში, კერძოდ რუსთავეში. ტექნიკური მონაცემებით მისი თბოიზოლაციისათვის გამოყენების მაქსიმალური ტემპერატურაა 800°C. ლუმელს გაუკეთდა ბაზალტის ქეჩის ორფენიანი თბოიზოლაცია (თითო ფენის სისქე 5 მმ). ბაზალტის ქეჩით დაიფარა აგრეთვე ცეცხლგამძლე აგურის გვერდითი კედლები, მათ შორის კედლის დოლთან შეუღლების ადგილები, რამაც მოსპო თბოდანაკარგების ყველაზე დიდი წყარო.

აღნიშნული ღონისძიებების გატარების შემდეგ ლუმელის გაცხელებისა და მუშა რეჟიმზე გაყვანის სიჩქარე მნიშვნელოვნად გაიზარდა: აღდგენის ზონაში საჭირო ტემპერატურის – 800±830 გრადუსის მისაღწევად უკვე საკმარისი იყო 7-8 საათი, რაც მისაღებია.

გარკვეული პრობლემები იყო აგრეთვე მრბუნავ დოლში კაზმის ჩატვირთვასთან და აღდგენილი მადნის გამოტვირთვასთან დაკავშირებით: უძრავ და მრბუნავ ნაწილებს შორის შეხება და ხახუნის იწვევდა დოლის არასტაბილურ მუშაობას (ბიძგებს, დოლის ამოხტომას საყრდენი გორგოლაჭებიდან). გარკვეული კონსტრუქციული ცვლილებების შეტანის შემდეგ ეს ხარვეზები აღმოიფხვრა.

დოლურ ლუმელზე ჩატარებულმა წინასწარმა ცდებმა გვიჩვენა მანგანუმშემცველი ლამის ბაზაზე დამზადებული კაზმის გაზრდილი ადჰეზია დოლის შიგა ზედაპირის მიმართ, რაც ამცირებს კაზმის გადაადგილების სიჩქარეს. ეს არასასურველი მოვლენა გამოწვეულია ძირითადად კაზმის მაღალდისპერსულობით: ნაწილაკების ზომა 0,1 მმ-ზე ნაკლებია. ამ ეფექტის შესამცირებლად ცეცხლგამძლე აგურის სახურავში დოლის ღერძის გასწვრივ გაკეთდა 5 ნახვრეტი ( $d = 20$  მმ), საიდანაც ლუმელის მუშაობის პროცესში პერიოდულად სრულდება მექანიკური დარტყმები დოლზე მის შიგა კედელზე ადჰეზირებული კაზმის ფენის ჩამოსაყრელად. შევნიშნავთ, რომ სამრეწველო მასშტაბის ლუმელში ეს ოპერაცია დოლის ბრუნვის დროს ავტომატურად განხორციელდება დოლზე მიმაგრებული სპეციალური კონსტრუქციის ჩაქურებისა და ჯაჭვების დახმარებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აღდგენის პროცესის ნორმალურად ჩასატარებლად და აღდგენის მაღალი ხარისხის მისაღწევად აქვს დოლის შიგა მოცულობაში აღდგენითი ატმოსფეროს შენარჩუნებას, რისი ძირითადი ხელშემწყობი პირობაა ატმოსფერული ჰაერის (და მაშასადამე, ჟანგბადის) დოლში შეღწევის მაქსიმალური შეზღუდვა კაზმის ჩატვირთვისა და გამოტვირთვის თავაკებიდან. ამ პროცესს ხელს უწყობს დოლის შიგა სივრცეში CO-სა და CO<sub>2</sub>-ის წარმოქმნის შედეგად გარკვეული ჭარბი წნევის შექმნა (წყლის სვეტის რამდენიმე ათეული მმ), რაც მუდმივად მოწმდებოდა აღდგენის პროცესის ჩატარების დროს.

ქვემოთ მოცემულია საცდელ-სადემონსტრაციო დანადგარის უწყვეტი მოქმედების მრბუნავ დოლურ ელექტროლუმელზე მიღებული გამოცდის შედეგები.

1. კაზმის ნაწილაკების ზომა < 0,1 მმ
2. დოლის ბრუნთა რიცხვი 5 ბრ/წთ
3. დოლის დახრის კუთხე 7°
4. ლამისა და ქვანახშირის მასური თანაფარდობა კაზმში 20 : 1
5. ლუმელის გაცხელებისა და მუშა რეჟიმზე გაყვანის ხანგრძლივობა 8 სთ
6. საშუალო ტემპერატურა ლუმელში ზონების მიხედვით
  - 6.1. კაზმის გაცხელების ზონა 780°C
  - 6.2. მაქსიმალური აღდგენის ზონა 820°C
  - 6.3. აღდგენის დამთავრების ზონა 800°C
  - 6.4. აღდგენილი მადნის წყლით გაცივების ზონა 30-50°C
7. კაზმის ლუმელში მიწოდების რეჟიმი პერიოდული, ყოველ 10-15 წუთში 0,5-1,0 კგ
8. ლუმელის წარმადობა კაზმის მიხედვით 3-4 კგ/სთ



9. კაზმის ლუმელში დაყოვნების დრო	50-60 წთ
10. წყლით გაცივებული აღდგენილი მადნის ტემპერატურა	~30°C
11. მადნის აღდგენის ხარისხი	100%.
12. მანგანუმის შემცველობა აღმდგენელ პროდუქტში	~35%.

როგორც ჩატარებული გამოცდების შედეგები გვიჩვენებს, ჩვენს მიერ დამუშავებული და დამზადებული უწყვეტი მოქმედების საცდელი მბრუნავი დოლური ელექტროლუმელი საშუალებას იძლევა იაფი მყარი აღმდგენის – ტყიბულის ქვანახშირის გამოყენებით სტაბილურად მივაღწიოთ მანგანუმშემცველი ნედლეულის 100%-იან აღდგენას  $MnO$ -მდე  $750-800^{\circ}C$  ტემპერატურაზე ლუმელში კაზმის არაუმეტეს 1 საათიანი დაყოვნების პირობებში, რაც უზრუნველყოფს შემუშავებული აღდგენითი გამოწვის პროცესის მაღალ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს მისი სამრეწველო მასშტაბით რეალიზაციის შემთხვევაში.

ავტორები მადლობას ეუხდით საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომლის მიერ დაფინანსებული №244 პროექტის ფარგლებში შესრულდა წინამდებარე სამუშაო.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Jay Y. Welsh. Manganese ore reduction. United States Patent 4, 010, 236. Mar. 1, 1977. Int. Cl. Co1G 45/02.
2. Прикладная электрохимия. Под редакцией А.П.Томилова. Москва: «Химия», 1984, 520 с.
3. Рысс М.А. Производство ферросплавов. Москва: «Металлургия», 1985, 244 с.

### IMPROVEMENT OF THE PROCESS OF REDUCTION ROASTING OF MANGANESE CONTAINING RAW MATERIALS

Themur Chakhunashvili, Tamar Mestvirishvili, Nanuli Butliashvili, Giuli Gobechia, Merab Dadunashvili, Zhiuli Keadze, Teimuraz Rokva, Dali Ekvtimishvili

*Rafiel Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry*

#### SUMMARY

Continuous process of total – 100 percent reduction of manganese containing raw material in rotating drum electric furnace has been elaborated by use of Tkibuli hard coal as reduction agent at roasting temperature  $750-800^{\circ}C$  and at the process duration in the furnace less than one hour.

### УСОВЕРШЕНСТВОВАНИЕ ПРОЦЕССА ВОССТАНОВИТЕЛЬНОГО ОБЖИГА МАРГАНЕЦСОДЕРЖАЩЕГО СЫРЬЯ

Т.А. Чахунашвили, Т.Ш. Мествиришвили, Н.С. Бутлиашвили, Г.П. Гобечиа, М.Т. Дадунашвили, Ж.М. Кебадзе, Т.В. Роква, Д.И. Еквтимшвили

*Институт неорганической химии и электрохимии им. Р.И. Агладзе*

#### РЕЗЮМЕ

Разработан непрерывный процесс полного – стопроцентного восстановления марганецсодержащего сырья во вращающейся барабанной электропечи с применением в качестве восстановителя ткибульского каменного угля при температуре обжига  $750-800^{\circ}C$  и времени пребывания шихты в печи не более одного часа.

**НОВЫЕ ПРЕПАРАТЫ ПРОЛОНГИРОВАННОГО ДЕЙСТВИЯ ПРОТИВ ИКСОДОВЫХ КЛЕЩЕЙ**

О.Г.Ломтадзе, М.С.Жгенти, Г.А.Чимакадзе\*

*Институт физической и органической химии им. Петра Меликишвили  
Грузинский Государственный аграрный университет\**

Разработка и внедрение новых инсектоакарицидных препаратов является важным и перспективным направлением для современной ветеринарии. Кровососущие насекомые (клещи, блохи) при укусе вызывают беспокойство и стресс, мешая нормальному приёму пищи и отдыху животных. Инокулируя при укусе биологически активные вещества и выделяя продукты жизнедеятельности, паразиты вызывают раздражение, воспалительные и аллергические реакции, токсикоз. При укусах или персистенции клещей травмируется кожа, нарушается ее целостность, вследствие чего заражаются инфекции. Паразиты могут быть вектором для переноса весьма опасных инфекций и инвазии. Лечение у животных инфекционных и инвазионных заболеваний во многих случаях является трудным, требует использования достаточно токсичных и дорогих фармакологических препаратов. Поскольку заболевания легче предупредить, чем вылечить, необходимо проводить регулярные профилактические обработки животных эффективными и безопасными инсектоакарицидными препаратами [1-3].

В отличие от применяемых ранее хлорорганических и фосфорорганических препаратов, а также карбаминовых кислот, которые обладали токсичностью и выраженными побочными эффектами, в последние годы созданы значительно безопасные и надежные синтетические соединения. Среди них наиболее широкое применение нашли синтетические пиретроиды, производные имидазолидина, фипронил, феотрин, S-метопрен. Эти вещества малотоксичны для теплокровных животных, не обладают тератогенными, мутагенными и канцерогенными действиями, а так же фотосенсибилизирующими свойствами, в меньшей степени вызывают аллергизацию.

Новые препараты, разработанные из вышеуказанных соединений, должны соответствовать требованиям современных стандартов на инсектоакарицидные препараты для ветеринарии: 1. Легкое и удобное использование без вреда для здоровья животных и людей; 2. Широкий спектр действия; 3. Длительный протекторный эффект.

Новые препаративные формы, для защиты животных от воздействия иксодовых клещей, разрабатывали на основе синтетического пиретроида – циперметрина. Для придания полученным препаратам репелентных свойств, наряду с акарицидными, из природных соединений отбирали такие вещества, которые являются репелентами насекомых и совместимы с циперметрином. В процессе испытания терпентинного масла (природного растворителя, полученного из сосновой живицы) в качестве репелентного компонента оказалось, что рабочие растворы, приготовленные из такой композиции, имеют более высокую акарицидную активность, чем из чистого пиретроида (при одинаковых содержаниях действующего начала – циперметрина). Вероятно, в этом случае имеет место синергизм и терпентины определяют усиливающее действие циперметрина. В результате концентрация действующего начала (циперметрина) в композиционном препарате оказывается более чем достаточной на период, перекрывающий по продолжительности цикл развития паразита, что предохраняет реинвазии и обуславливает высокую эффективность композиционного препарата.

Увеличение продолжительности действия инсектоакарицидных препаратов возможно созданием условий с контролируемым выделением действующего вещества, что успешно достигается при микрокапсулировании инсектицидов. Микрокапсулирование дает возможность резко снизить токсичность инсектоакарицидного вещества для теплокровных животных и человека, удалить неприятный запах и пролонгировать инсектоакарицидное действие на разных поверхностях. Особенно эффективно их применение на впитывающих поверхностях, поскольку микрокапсулированные формы не проникают в пористые материалы и остаются на поверхности [4]. Получение микрокапсулированных инсектоакарицидных препаратов возможно на высокотехнологичном и дорогостоящем оборудовании, что в наших условиях, к сожалению труднореализуемо.

Значительно простой способ создать условия постепенному выделению веществ является пропитать этими веществами пористые материалы. В работах сотрудников Института физической и органической химии им. Петре Меликишвили [5] показана, что пропитанные хелатными соединениями природный цеолит - клиноптилолит (алюмосиликат с жесткой кристаллической структурой) способствует контролируемому потреблению растениями питательных составов. Указанные свойства природных цеолитов мы решили использовать для создания новых препаративных форм инсектоакарицидных препаратов пролонгированного действия.

Природный цеолитсодержащий туф – клиноптилолит месторождения пос. Тедзамы (Каспский р-он, Грузия) измельчали, просеивали через сита, отбирали фракцию размером частиц 0,25-0,50 мм. и подвергали кислотной обработке для высвобождения широких цеолитных каналов [6]. Обработанную фракцию промывали водой, сушили на воздухе, далее в термостате (при температуре 105-110<sup>0</sup>С) и пропитывали вышеописанным композиционным препаратом методом капиллярной пропитки [7]. Пропитанные частицы клиноптилолита подвергали “мокрому помолу” в среде растворителя (гексан). После удаления растворителя получается высокодисперсный порошок клиноптилолита (размер частиц не более 30 мкм) в широких цеолитных каналах которого содержится молекулы циперметрина и терпентинов.

Транспортировку циперметрин и терпентинсодержащих микрочастиц цеолита до тела животных осуществляли различными препаративными формами, в виде пудры, суспензии, мази и карандаша. Попадая на тело животного циперметрин и терпентинсодержащие микрочастицы клиноптилолита будут оставаться на поверхности кожи, поскольку они не смогут впитываться через поры и следовательно, будут обеспечивать эффективную и длительную защиту животного как от иксодовых клещей, так и от других паразитов (блох, власоедов, чесоточных и ушных клещей, комаров, мух).

Для приготовления карандаша в качестве формообразующих компонентов применяли парафин, вазелиновое и минеральное масло, а в случае мази и органосуспензии формообразующими компонентами были вазелиновое и минеральное масло. Выбор указанных веществ продиктованы тем, что они обеспечивают длительное защитное действие препарата при контакте животного с водой. Соотношение компонентов подбирали с учетом полученная системы, которая после гомогенизации удобно наносится и втирается в кожный покров животного. Содержание действующего вещества – циперметрина в карандаше, мази и органосуспензии составляет 0,05%.

Сложности возникли в процессе приготовления водной суспензии. Несмотря на довольно высокую дисперсность акарицид- и репелентсодержащего клиноптилолита и применения различных структурообразующих компонентов, получить стабильные (не оседавшие) водные суспензии не удалось. В связи с указанным цеолит – алюмосиликат с жесткой кристаллической структурой заменили алюмосиликатом со слоистой кристаллической структурой – монтмориллонитовой глиной месторождения с.Аскана (Озургетский р-он, Грузия). Получить порошки акарицид- и репелентсодержащей глины по разработанной для цеолитов методике не удалось, в связи с чем был разработан новый метод приготовления инсектоакарицидного препарата в форме водной суспензии циперметринсодержащей глины.

Карьерную асканглину обогащали методом обратной пептизации [8], сушили в термостате при температуре 105-110<sup>0</sup>С и измельчали в шаровой мельнице. Готовили 0,5-1,0 %-ную водную эмульсию циперметрина которым набухали обогащенную и измельченную глину до получения пасты с 10%-ным содержанием воздушносухой глины. Поскольку монтмориллонитовая глина набухает за счет увеличения межслоного пространства [9], молекулы циперметрина в окруженные молекулами воды должны расположиться в этом же пространстве. Из 10%-ной пасты готовили рабочие растворы с 1%-ным содержанием воздушносухой глины, которым обрабатываются животные. После высыхания суспензии на кожной поверхности животного образуются микрочастицы глины в межслоное пространство которого находится циперметрин. Такое расположение циперметрина определяет его контролируемое выделение и следовательно, пролонгированное инсектоакарицидное действие препарата.

Пролонгированными инсектоакарицидными свойствами обладают так же разработанный нами циперметринсодержащий микроэмульсионный препарат, в котором дисперсионная среда масло, а дисперсионная фаза – вода. Эмульсия готовится в специальном эмульгаторе смешением двух составов. В первом содержится минеральное масло (индустриальные масла по ГОСТ 20799-88), органиофильный ПАВ и синтетический пиретроид, а во втором – гидрофильный ПАВ растворенное в

горячей воде. Из-за наличия в системе органогфильного и гидрофильного ПАВ поверхностное натяжение на разделе фаз эмульсии уменьшается до минимальных значений (порядка  $10^{-2}$  мнм). Следовательно, в полученной таким способом системе свободная энергия приближается к нулю и в отличие от обычных эмульсий, термодинамически стабильна. Размер сферических агрегатов полученной микроэмульсии не превышает 0,01 мкм.

Растворением полученного препарата в воде (соотношением 1:30) получается рабочий раствор молочного цвета с содержанием циперметрина 0,05-0,06%. Наличие масла в водном растворе микроэмульсии определяет надежную фиксацию препарата на кожном покрове животного в условиях контакта животного с водой и сохранение защитных акарицидных свойств продолжительный период времени.

Акарицидная активность разработанных препаратов была изучена как в лабораторных условиях, при непосредственном контакте препаратов на паразитарные клещи, так и в реальной среде обработкой препаратами кожный покров животных с насаженными клещами.

При лабораторных исследованиях в чашки петри (основные и контрольные) помещали по 15 единиц паразитарные клещи одного вида (голодные нимфы, личинки, голодные исытые имаго). На теле паразитов, размещенных в основные чашки, наносился испытуемый препарат, а на теле клещей в контрольных чашках кантаминировали смесь компонентов тех же препаратов без циперметрина.

Проведенными лабораторными исследованиями установлено, что от воздействия препаратов голодные имаго парализуются через 10-15 минут и погибали в течение суток. Сытые самки парализовались через 10-15 минут и погубали в течение 30-35 часов. Сытые нимфы парализовались после 15 минут и погибали через 25-30 часов. Голодные личинки парализовались через 5-10 минут и погибали в течение 15-24 часов.

Для изучения пролонгированного действия впитывающие (фанера) и невпитывающие (стекло) поверхности обрабатывали разработанными препаратами и насаживали на них иксодовые клещи через 1-6 недель с момента обработки. Норма расхода рабочих растворов 50 мл/м<sup>2</sup>. Испытания показали, что разработанные препараты сохраняют высокую акарицидную активность как на впитывающие, так и невпитывающие поверхности.

В реальной среде разработанные препараты исследовали как на опытных животных, так и в фермерных хозяйствах различных районов (Болниси, Марнеули, Дманиси) восточной Грузии. По полученным данным после обработки препаратами на кожном покрове животных в течении 20-25 дней не были обнаружены клещи, тогда как на кожном покрове каждого необработанного животного с того же стада находились в среднем 10-15 индивидумов.

На основе результатов проведенных исследований [10-12], можно рекомендовать разработанные нами препаративные формы: карандаш, пудра, мази, суспензии, эмульсия для защиты животных от кровососущих паразитов.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Катаева Т.С. Изучение развития иксодовых клещей как критерии выбора акарицида. «Ветеринария», 2006, №7, с. 35-37.
2. Фомичева Е.Д. Сезонная активность эктопаразитов крупного рогатого скота в Волгоградской области. «Ветеринария», 2004, №8, с. 30-33.
3. გ. ვოდეტიშვილი, ლ. მაკარიძე, გ. ჩიქაძე და სხვ. იქსოდური ტკიპების გავრცელება ქვემო ქართლის ზოგიერთ რაიონში (ფაუნა, ეკოლოგია). საქ. სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ტ.1, №4 (45), 2008წ. გვ. 120-124
4. Рославцева С.А. Микрокапсулированные инсектициды — новая перспективная препаративная форма. «Агрохимия», 1992. № 10. С. 122-126.
5. Андроникашвили Т.Г., Гогодзе М.И., Гвасалиა В.П. Применение в чаеводстве клиноптилолит-содержащего туфа для снабжения растений микроэлементами в биологически активной форме. Материалы Всесоюзной научно-технической конференции по добыче переработке и применению природных цеолитов. Тбилиси, «Сакартвело», 1989, с. 295-299.
6. Кюридзе З.И., Крупеникова А.Ю., Андроникашвили Т.Г. Влияние агрессивных сред на состав клиноптилолита. В кн «Клиноптилолит» (труды симпозиума по вопросам исследования и применения клиноптилолита). Тбилиси «Мецниереба», 1977, с. 96-101.
7. Кругликий Н.Н., Ломтадзе О.Г., Кругликая В.Я., Паховчишин С.В. Изучение лиофильных

- свойств клиноптилолита. Журн. коллоид. химии, 1985, т.47, № 4, с. 693-697.
8. *შიშინიაშვილი მ.ე., Авсаркисова А.И.* Авторское свидетельство №1994484.
  9. *Овчаренко Ф.Д.* Гидрофильность глин и глинистых минералов. Киев, «Наукова думка», 1961, с. 210.
  10. *Ломтадзе О.Г., Чимакадзе Г.Ф., Бердзенишвили Л.В.* Определение остаточного количества акарицидного препарата в органах и тканях кроликов. Сборник научных трудов Грузинского Государственного аграрного Университета, 2009, т. 1, № 4(45), с.146-149.
  11. *Чимакадзе Г.А., Макаридзе Л.А., Ломтадзе О.Г.* Технология приготовления препаративных форм акарицидных препаратов с пролонгированным действием (предварительные исследования). Сборник научных трудов Грузинского Государственного аграрного Университета, 2009, т. 2, № 3(48), с.126-128
  12. *Чимакадзе Г.А., Ломтадзе О.Г.* Акарицидное действие препарата в форме мази на клещей *Rhipicephalis sanguineus* (предварительные исследования). Известия национальной Академии Грузии, серия химическая, 2009, т.35, № 2, с.184-185.

### ცხოველთა პარაზიტული ტკიპების საწინააღმდეგო ახალი პროლონგირებული თვისების პრეპარატები

ომარ ლომთაძე, მიხეილ ჟენტი, გივი ჩიმაკაძე  
*სსიპ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი*  
*საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი*  
**რეზიუმე**

მომზადებულია ცხოველთა პარაზიტული ტკიპების საწინააღმდეგო, სხვადასხვა პრეპარატული ფორმის (ხსნარი, პუდრი, ლილიმენტი, ფანქარი, სუსპენზია, ემულსია), ახალი პროლონგირებული თვისების საშუალებები. პუდრის, ლილიმენტის და ფანქრის ფორმის პრეპარატების განხორციელებულ აკარიციდული მოქმედებას განაპირობებს მათ რეცეპტურაში ბუნებრივი ალუმოსილიკატების (კლინოპტილოლიტი, მონტმორილონიტური თიხა) გამოყენება. ძირითადი მოქმედი ნივთიერების, სინთეზური პირეტროიდის (ციპერმეტრინი) მოლეკულების განთავსება კლინოპტილოლიტის მსხვილ ცეოლიტურ არხებში და ბენტონიტური თიხის სტრუქტურულ ფენებს შორის განსაზღვრავს მათ კონტროლირებად გამოყოფას. ხსნარის ფორმის პრეპარატის პროლონგირების ეფექტს განსაზღვრავს ციპერმეტრინის და გამოყენებული ბუნებრივი გამხსნელის ტერპენტინების სინერგიული ურთიერთმოქმედება. ემულსიის შემთხვევაში ეფექტურობა გამოწვეულია წყალში და ზეთში ხსნადი ორი ზედაპირულად აქტიური ნივთიერების გამოყენებისა და სწორი შერჩევის შედეგად მიკროემულსიის წარმოქმნით. ლაბორატორიულ და რეალურ პირობებში გამოცდით დადგინდა შემუშავებული პრეპარატების მაღალი ეფექტურობა.

### NEW PREPARATIONS AGAINST TICKS WITH LONG TERM EFFECT

Omar Lomtadze, Micheil Jgenti, Givi Chimakadze  
*P. Melikishvili State Institute of Physical and Organic Chemistry*  
*Georgian State Agrarian University*

#### SUMMARY

Various forms (mixture, powder, liniment, pencil, suspension, emulsion) of preparations against ticks have been made. The long term effect of preparations forms - powder, liniment and pencil are due to the fact that natural aluminosilicates (Clinoptilolite, Montmorillonite clay) are used in preparation forms' structures. On its hand, their effect is controlled by the main active substance – synthetic pyrethroid (cypermethrin) which is located in major channels of Clinoptilolite as well as in structural layers of benton clay. The long term effect of mixture form of the preparation is due to the synergic interaction of cypermethrin and natural dissolvent – turpentine. Long term effect of emulsion form of the preparation is due to the usage of active substances that can be dissolved in water and oil as well as by correct selection creating micro emulsion. After examining the preparation real environment and in laboratory conditions, high effectiveness of the elaborated preparation forms were identified

## ქიმიური ტექნოლოგია

## სამხედრო უნიფორმის პაკეტის ქვეშ არსებული მიკროკლიმატის დამოკიდებულება გამომყენებელი ნაწილის გოჭკოვან შემადგენლობაზე

მერაბ დათუაშვილი, ნინო დოლიძე, ლია ლურსმანაშვილი, ირინა უგრეხელიძე, ქეთევან ჩირვაძე  
*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე ტანსაცმელის დაგეგმარება შეუძლებელია მისდამი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. სწორედ ტანსაცმელისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნები განაპირობებს ადამიანის ორგანიზმთან მის ურთიერთშეთანხმების ხარისხს და რაც უფრო მაღალია მისი მნიშვნელობა, მით მაღალია კომფორტულობის ხარისხი, მცირეა ავად გახდომის ალბათობა და მნიშვნელოვნად მაღლდება შემოქმედებითი საქმიანობის მუხტი. [1].

გარემოს მავნე პირობების ზემოქმედებისაგან დასაცავად და პროფესიული საქმიანობის შესრულებისათვის დაგეგმარებული სამხედრო უნიფორმა თავისი არსით წარმოადგენს ერთგვარ „მიკროსაცხოვრებელს“ ჯარისკაცებისათვის და მისი რაციონალური ფორმირება მნიშვნელოვნად განაპირობებს დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხს. აქედან გამომდინარე, სამხედრო უნიფორმის რაციონალური პაკეტის დაგეგმარების პროცესი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და მისი შესრულება შეუძლებელია გარკვეული მეცნიერული გამოკვლევების გარეშე.

სამხედრო უნიფორმით შემოსილი ჯარისკაცის (ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანის) კომფორტული მდგომარეობა უმეტესწილად განისაზღვრება მისი სხეულის სითბური მდგომარეობით [2]. ეს უშუალო კავშირშია როგორც გარე სამყაროს მეტეოროლოგიურ ფაქტორებთან, ისე სამოსის კონსტრუქციასთან, გამოყენებული მასალის სახეობასა და ფორმირებული პაკეტის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე. სამხედრო უნიფორმის პაკეტის ქვეშ ფორმირებული მიკროკლიმატი შესაძლებელია შემდეგი მაჩვენებლებით შეფასდეს: ტემპერატურა, ჰაერის ტენიანობა და ვენტილაციის ხარისხი. ჩვენი კვლევის მიზანს საქართველოს შეიარაღებული ძალებში გამოყენებულ და რეკომენდირებულ უნიფორმათა პაკეტის ქვეშ არსებული მიკროკლიმატი წარმოადგენს.

გამოკვლევა ჩატარებული იქნა 120 რესპოდენტზე. შედარებითი ანალიზის მიზნით გამოკვლეული იქნა სხვადასხვა დანიშნულების (საზაფხულო, საზამთრო) და ბოჭკოვანი შემადგენლობის მქონე უნიფორმათა პაკეტები. სამოსის სახედ მიღებული იქნა მოხმარებაში არსებული ყოველდღიური სამხედრო საველე უნიფორმა (მაისური, ტრუსი, შარვალი, ხალათი, კეპი), ე.წ. ერაცის და კოსოვოს ფორმები. ზამთრის სეზონის შესაბამისი უნიფორმის კომპლექტს ემატებოდა ქურთუკი გაყვლითილი საზედაპირე ქსოვილით. არსებულთან ფარდობითი ანალიზის მიზნით, ასევე გამოკვლეული იქნა ჩვენს მიერ რეკომენდირებული „რიპ-სტოპის“ (ბამბა 70%, პოლამელი 30%) საზედაპირე ქსოვილისაგან დამზადებული პაკეტი.

უნიფორმის პაკეტის ქვეშ გამოსაკვლევი წერტილების რაოდენობა და მისი ტოპოგრაფია შერჩეული იქნა ზამთრისა და ზაფხულის პირობებიდან გამომდინარე. ტემპერატურის აწევის შემთხვევაში ტანსაცმლის ქვეშ კლიმატი იცვლება ძირითადად გულმკერდისა და ზურგის არეში; საწინააღმდეგო შემთხვევაში, კი ცვლილებები გულმკერდის, ზურგის, მხრების, წელისა და თეძოს არეშია შემჩნეული [3]. უნიფორმის პაკეტის ქვეშ ტემპერატურის კვლევა განხორციელდა თერმოწყვილებისა და თერმომეტრების მეშვეობით. ტენიანობის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა ელექტროფსიქომეტრული მეთოდი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: პაკეტის ქვეშ, საჭაერო შრეში ტემპერატურის გაზომვა ხორციელდება მშრალი და დატენიანებული თერმომეტრების მეშვეობით. უნიფორმების ვენტილაციური მახასიათებლები გულისხმობს მისი ფორებისა და კომპლექტის ფუნქციონირების სიციხეების მეშვეობით ჰაერის გარე სამყაროსთან გაცვლის პროცესს. აღნიშნული მაჩვენებლის დასადგენად განხორციელდა ტენის იმ რაოდენობის განსაზღვრა (მასის) რომელიც გამოიყოფა ორგანიზმის მიერ და შეიწოვა უნიფორმის პაკეტმა.

მათემატიკური ანალიზის საფუძველზე შედგენილი იქნა ექსპერიმენტული მონაცემების შემაჯამებელი ცხრილი – 1.

ცხრილში 1. სამხედრო უნიფორმის პაკეტის ქვეშ მიკროკლიმატის პარამეტრები კომპლექტაციისა და ნელეულის სისიტემის მიხედვით

ნიმუშის №	პაკეტის კომპლექტაცია	ბოჭკოვანი შემადგენლობა	ჰაერის ტემპერატურა პაკეტის ქვეშ t <sup>0</sup> , სთ.		პაკეტის ქვეშ ჰაერის ფარდ. ტენიანობა %, სთ.		პაკეტის მიერ შეწოვილი ტენის რაოდენობა გრ. სთ.
			მშვიდი მდგომარეობა	აქტიური მდგომარეობა	მშვიდი მდგომარეობა	აქტიური მდგომარეობა	
<b>ზაფხული</b>							
1	მაისური ხალათი შარვალი	ბამბა 30% ვისკ. 70% ბამბა 30% პოლიამიდი 70% ბამბა 30% პოლიამიდი 70%	32,3	35,9	50	68	35
2	მაისური ხალათი შარვალი	ბამბა 100% ბამბა 80% პოლიამიდი 20% ბამბა 80% პოლიამიდი 20%	30,2	31,8	40	50	60
3	მაისური ხალათი შარვალი	ბამბა 30% ვისკოზა 70% ბამბა 50% პოლიამიდი 50% ბამბა 50% პოლიამიდი 50%	30,2	32,5	45	55	50
4	მაისური ხალათი შარვალი	ბამბა 100% ბამბა 70% პოლიამიდი 30% ბამბა 70% პოლიამიდი 30%	30.3	32.1	45	53	55
<b>ზამთარი</b>							
5	№1 კომპლექტი + ქურთუკი	პოლიეთერი, გაჟღენთილი აკრილის ფისით	31.4	34.3	48	60	30
6	№2 კომპლექტი + ქურთუკი	—	30.5	32.4	38	50	45
7	№3 კომპლექტი + ქურთუკი	—	30.7	32.6	42	54	40
8	№4 კომპლექტი + ქურთუკი	—	30.6	32.4	39	52	45

შენიშვნა: №1 - ამჟამად არსებული უნიფორმა; №2 ე.წ. ერაცის ფორმა; №3. ე.წ. კოსოვოს ფორმა; №4 შემოთავაზებული კომპლექტაცია.

კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა სამხედრო უნიფორმის პაკეტის ქვეშ მიკროკლიმატის ცვლილების დამოკიდებულება გამოყენებულ მასალათა ბოჭკოვან შემადგენლობაზე. ადამიანი კომფორტულად გრძნობს თავს (60%-იანი ტენიანობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, როცა ტემპერატურა სხეულის ზედაპირსა და ტანსაცმლის პირველ ფენას შორის 30÷32<sup>0</sup>-ის ტოლია; აქტიური დარვირთვის შედეგად საათში გამოყოფილი ოფლის რაოდენობა კი 40-50 გრ/სთ-ს უნდა შეადგენდეს [3]. აქედან შეიძლება დავასკვნათ: ჩვენს მიერ გამოსაკვლევედ აღებული ნიმუშებიდან

ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლები როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის კომპლექტაციის შემთხვევაში, გააჩნია ნიმუშს №2, რაც პირველ რიგში განპირობებულია მასალებში ბამბის ბოჭკოს დიდი რაოდენობრივი მაჩვენებლებით.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ზემოხსენებულ ჰიგიენურ მაჩვენებლებთან ერთად სამხედრო უნიფორმის დაგეგმარებისას გამოყენებულ მასალებს წაეყენება საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე, შეიძლება დავასკვნათ – ბოჭკოვანი შემადგენლობის ვარიანტებით შესაძლებელია სასურველი ჰიგიენური და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიღწევა.

მოცემული სამუშაო შესრულებულია პროექტის მიხედვით, რომელიც რეალიზებულია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი №07/7 -242). სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Коблякова Е.Б., Ивлева Г.С., Романов В.Е. и др.* Конструирование одежды с элемента САПР. Легпромбытиздат. М. 1988.
2. *Модестова Е.А., Алыменкова Н.Д.* Материаловедение швейного производства. Легпромбытиздат. М. 1986. 424 с.
3. *Делль Р.А., Афанасьева Р.Ф.* Гигиена одежды. М. «Легкая индустрия» 1979. 180с.

#### DEPENDENCE OF THE MICROCLIMATE UNDER THE PACKAGE OF MILITARY UNIFORMS FROM THE FIBROUS COMPOSITION OF THE MATERIALS USED

Merab Datuashvili, Nino Dolidze, Lia Lursmanashvili, Irina Ugrehelidze, Ketevan Chirgadze  
*The Akaki Tsereteli Kutaisi State University*

#### SUMMARY

In this paper we addressed the critical question of the relationship characterized by the parameters of the microclimate of a uniform set of properties of fibrous raw material used. There are methods for the study of temperature, relative humidity, ventilation, and military uniforms as a summer or winter, and a complete set of tabular data are presented from experimental studies. In the process of designing the product by varying the chemical composition of the materials used can achieve the required performance.

#### ЗАВИСИМОСТЬ МИКРОКЛИМАТА ПОД ПАКЕТА ВОЕННОЙ УНИФОРМЫ ОТ ВОЛОКНИСТОГО СОСТАВА ИСПОЛЬЗУЕМЫХ МАТЕРИАЛОВ.

М.В.Датуашвили, Н.А.Долдидзе, Л.Г.Лурсманашвили, И.Угрехелидзе, К.А.Чиргадзе  
*Кутаисский государственный университет им. Ак. Церетели*

#### РЕЗЮМЕ

В работе рассмотрен важнейший вопрос взаимосвязи параметров, характеризующий микроклимат под пакетом униформы от волокнистого свойства используемого сырья. Приведены методы исследования температуры, относительной влажности и вентилируемости военной униформы как летней, так и зимней комплектации и в табличном виде представлены полученные данные экспериментальных исследований. В процессе проектирования изделия методом варьирования химического состава используемых материалов, можно достичь требуемых эксплуатационных показателей.



## ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ

## ТЕРМОДИНАМИЧЕСКИЕ СВОЙСТВА ЛИНЕЙНЫХ И СТРУКТУРИРОВАННЫХ ТЕРМОЭЛАСТОПЛАСТОВ ОБУВНОГО НАЗНАЧЕНИЯ

М.М.Шаламберидзе, Н.З.Ломтадзе, М.Г.Грдзелидзе  
 Кутаисский государственный университет им. А. Церетели

В обувной промышленности в качестве материала низа обуви широко применяются, как линейные, так и структурированные бутадиен-стирольные термоэластопласти на базе блок-сополимеров ДСТ-30 и Сибилен.

Наиболее широко изучены и внедрены в производстве обуви серные вулканизирующие группы для полимерных композиционных материалов низа обуви. Однако эти структурирующие агенты не лишены недостатков. К недостаткам серной вулканизации относится необходимость введения в полимерную систему ускорителей вулканизации, замедлителей подвулканизации, активаторов и других агентов, что создает большие трудности в производстве синтетических материалов для низа обуви.

Перечисленные выше недостатки можно устранить путем применения новых типов структурирующих агентов. Использование латентных отвердителей ("скрытые" отвердители ЛО-3 – это вещество, проявляющие свою активность при повышенных температурах) и исследования термодинамических закономерностей линейных и структурированных бутадиен-стирольных термоэластопластов, целью прогнозирования технологических характеристик материалов, является актуальной проблемой для обувной промышленности.

Термодинамические свойства выше указанных полимеров – теплоемкость и ее изменения, энтальпию и энтропию фазовых переходов, энергетические изменения различной природы, кинетические характеристики процессов и релаксационных переходов исследовали методом дифференциально-сканирующей калориметрии на приборе "Du Pont Instruments 912 DSC" (США) [1-3].

На рис. 1 и 2 приведены зависимости энергии активации от температуры исследуемых блок-сополимеров ДСТ-30 и Сибилен с различными структурирующими агентами.




Рис. 1. Зависимость эффективной энергии активации от температуры. 1 – ДСТ – 30 без отвердителя, 2 – ДСТ – 30 с латентным отвердителем ЛО-3 и 3 – ДСТ – 30 серный вулканизат.




Рис. 2. Зависимость эффективной энергии активации от температуры. 1 – Сибилен без отвердителя, 2 – Сибилен с латентным отвердителем ЛО-3 и 3 – Сибилен серный вулканизат.

Введение латентного отвердителя практически не влияет на положение максимума, соответствующего  $\alpha$ -релаксационному переходу, при этом энергия активации кооперативного сегментального движения возрастает у ДСТ-30 и Сибилена почти в 3 раза.

В случае использования серной вулканизирующей системы температурные переходы смещаются в сторону более высоких температур и энергия активации  $\alpha$ -релаксационного перехода несколько выше. Это позволяет предположить, что проведение серной вулканизации по сравнению с латентной, приводит к получению более жестких систем.

Таким образом, проведенные исследования позволяют сделать некоторые обобщения:

- структурирование идет по непрерывной фазе, ограничивая подвижность полибутадиеновых блоков;
- в присутствии сшивающих агентов строение и порядок расположения доменов претерпевают изменения.
- метод ДСК показывает, что в случае применения латентного отвердителя ЛО-3 параметры  $\alpha$ -релаксации в доменах меняются меньше, чем у серных вулканизаторов, т.е. сохраняется более подвижная структура, меняется только эластомерная фаза.

Сопоставление результатов исследования показывает, что с использованием латентного отвердителя ЛО-3 по сравнению с серными вулканизирующими группами показало, что все температурные переходы серных вулканизаторов смещаются в сторону более высоких температур и энергия активации  $\alpha$  – релаксационного перехода несколько выше, что приводит ухудшению пласто – эластических свойств продуктов серной вулканизации по сравнению с латентными.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Годовский Ю.К.* Теплофизические методы исследования полимеров. М.: Химия, 1996, с. 216.
2. Переходы и релаксационные явления в полимерах. Под ред. Р. Бойера. М.: Мир, 1988, с. 348.
3. *Бартенев Г.М.* Структура и релаксационные свойства эластомеров. М.: Химия, 1979, с. 228.

#### წრფივი და სტრუქტურირებული საფეხსაცმელზე თერმოელასტოპლასტების თერმოდინამიკური თვისებები

მერაბ შალამბერიძე, ნატალია ლომთაძე, მაია გრძელიძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

#### რეზიუმე

სტატიაში მოყვანილია წრფივი და სტრუქტურირებული ბუტადიენ-სტიროლის თერმოელასტოპლასტების ДСТ-30 და სიბილენის თერმოდინამიკური თვისებები. კვლევებით დადგენილია, რომ ლატენტური გამამყარებლის ЛО-3 ფუძეზე დამზადებული პოლიმერები ხასიათდებიან გაცილებით კარგი პლასტო-ელასტიური თვისებებით ვიდრე შესაბამისი პოლიმერების გოგირდოვანი უულკანიზატები.

#### THERMODINAMICAL PROPERTIES OF LINIER AND STRUQTURIZED THERMOPLASTES FOR SHOES

Merab Shalamberidze, Natalia Lomtadze, Maia Gdzeldze  
The Akaki Tsereteli Kutaisi State University

#### SUMMARY

Thermodynamical properties of linier and struqturized thermoplasts ДСТ-30 and sybelene has been investigated. That thermoplasts on the base of the latent hardeners have better plastic – elastic properties then corresponding sulfurous vulcanization of polymers has been established.

## მეცნიერების ისტორია

## თბილისის თერმული წყლების ანალიზის ისტორიისთვის

თამარ ცინცაძე, მაია რუხაძე, ლეილა ხიდაშელი, რაულ ჩაგუნავა  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ცნობილია, რომ თბილისის თერმული წყლების ანალიზურ კვლევებს საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1772 წელს, როდესაც აკად. აკიულდენშტელტმა მისი ქიმიური შედგენილობის დასადგენად თვისებითი ანალიზი გამოიყენა [1].

კვლევების მეორე ეტაპი, უკვე რაოდენობრივი ანალიზის გამოყენებით, მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაიწყო და მისი შედეგები 1829 წ. გამოქვეყნდა პოლკოვნიკ როტიეს ნაშრომში „თბილისიდან კონსტანტინეპოლში მოგზაურობის გზის მკვლევები“ [2].

რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, წარმოშობით ბელგიელი როტიე (გარდაიცვალა სავარაუდოდ 1829 წ.) 1811-1818 წ.წ. საქართველოში იმყოფებოდა და მე-20 დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობას ასრულებდა. მან გამოაქვეყნა ორი ნაშრომი – 1815 წ. „ჩანაწერები საქართველოში“ და 1829 წ. აღნიშნული „გზის მკვლევები“ [2].

აღწერილი კვლევითი სამუშაო „გზის მკვლევების“ თანახმად, უცნობი ანალიტიკოსის მიერ თბილისის წყლის ანალიზისათვის გამოკვლეული იქნა 100 ფუნტი წონის აბანოს წყალი, რომლის ტემპერატურა რეომიურის შკალით 40°-ს შეადგენდა.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად დადგინდა, რომ საანალიზო სინჯი გრანებში შემდეგი რაოდენობის კომპონენტებს შეიცავდა: ნატრიუმის ბიკარბონატი – 29; ნატრიუმის სულფატი – 36; ნატრიუმის ქლორიდი – 24; კალციუმის ბიკარბონატი – 20; მანგიუმის ბიკარბონატი – 8; რკინის ბიკარბონატი – 2; კაჟმიწა – 9; ფისოვანი ექსტრაქტები – 4.

რეომიურის შკალით 40° ცელსიუსის 50°-ს შეესაბამება, რაც 3°-ით აღემატება თბილისის გოგირდოვანი წყლების იმ მაქსიმალურ ტემპერატურას, რომელიც თანამედროვე განზომილებით იყო დადგენილი [3]. რაც შეეხება წყლის ქიმიურ შედგენილობას, ფაქტობრივად, აღნიშნულ სიაში იგივე კომპონენტებია მოტანილი, რაც თანამედროვე ანალიზის საშუალებითაც არის დადგენილი. თანამედროვე მონაცემებთან შედარების მიზნით გრანები გრამებში გადავიყვანეთ და როტიეს მონაცემები ცალკეული იონებისთვის წარმოვადგინეთ მგ/ლ განზომილებაში (ასეთი გადაყვანისას ვითვალისწინებდით, 1 გრანი = 62,02 მილიგრამს და 1 ფუნტი ანუ 409,9 გრამი წყლის წონა შეიძლება 409,9 მილილიტრი მოცულობის წყლის შესაბამის წონად დავუშვათ).

გადათვლების შედეგად მიღებული შედეგები მოტანილია ცხრილში 1, სადაც მეორე სვეტი ამ შედეგებს ეთმობა, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე სვეტებში წარმოდგენილია თბილისის თერმების სამი სხვადასხვა ჭაბურღილის შესაბამისი წყლის ქიმიური შემადგენლობის თანამედროვე მონაცემები [3].

ცხრილი 1. თბილისის თერმული წყლების ქიმიური შედგენილობა

№	კომპონენტები	როტიეს მონაცემები მგ/ლ	თანამედროვე მონაცემები, მგ/ლ		
			№1 ჭაბურღილი	№2 ჭაბურღილი	№3 ჭაბურღილი
1	$Na^+ + K^+$	39,3	78	113	134
2	$Mg^{2+}$	2,0	2	3	3
3	$Ca^{2+}$	7,3	16	14	62
4	$Fe^{2+}$	0,9	---	---	---
	ჯამი	49,5	96	130	139
6	$HCO_3^{2-}$	55,5	23	56	140
7	$SO_4^{2-}$	36,6	26	30	249
8	$Cl^-$	21,9	53	103	46
9	$CO_3^{2-}$	-----	48	24	---
10	$HS^-$	-----	10	22	12
	ჯამი	114,0	160	237	447
12	$SiO_2$	13,5	38	46	35
13	$R_2O_3$	6,0	8	6	4
	საერთო მინერალიზაცია	183,0	302	419	685

როგორც ცხრილიდან ჩანს, თბილისის თერმული წყლების მარილების შემადგენლობაში უცნობმა ანალიტიკოსმა ბიკარბონატის ანიონები დააფიქსირა (55,5 მგ/ლ), შემდეგ რაოდენობრივად ნატრიუმის კათიონები (39,3 მგ/ლ), სულფატის და ქლორიდის ანიონები (36,9 მგ/ლ და 22,0 მგ/ლ). შედარებით ნაკლები რაოდენობით შეიცავს საანალიზო ხსნარი კალციუმის, მაგნიუმის და რკინის კათიონებს (7,3; 2,0 და 0,9 მგ/ლ) და საერთოდ არ შეიცავს კარბონატის და სულფიდების ანიონებს, სამაგიეროდ უცნობ ანალიტიკოსს ხსნარში დაფიქსირებული აქვს ისეთი საგანგებო კომპონენტები, როგორცაა კაჟმიწა და ფისოვანი მინარევები (13,5 და 6,0 მგ/ლ). საერთო მინერალიზაცია როტიეს თანახმად 122 გრანს შეესაბამება, რაც მგ/ლ-ში გადაყვანისას 183 მგ/ლ უტოლდება.

ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ანალიზის ძველი მონაცემები საკმაოდ კარგად თანხვდება თანამედროვე მონაცემებს. უცნობმა ანალიტიკოსმა თბილისის თერმულ წყლებში თითქმის ყველა ის კომპონენტი დააფიქსირა, რომლებიც თანამედროვე ანალიზებით იქნა გამოვლენილი. თანხვდენა რაოდენობრივი თვალსაზრისითაც დამაკმაყოფილებელია და რიცხვითი მონაცემების განსხვავება უმეტეს შემთხვევაში ერთი რიგის ფარგლებს არ სცილდება.

თანხვდენის საერთო სურათში გამონაკლისთანაც გვაქვს საქმე, ვინაიდან როტიეს მონაცემებით თერმული წყალი შეიცავს რკინას და არ შეიცავს კარბონატებსა და სულფიდებს, მაშინ როდესაც თანამედროვე მონაცემებით საპირისპირო მდგომარეობა ფიქსირდება, მაგრამ, განსხვავებები არა ანალიზის დროს დაშვებული შეცდომით არის გამოწვეული, არამედ საანალიზოდ აღებული ნიმუშის შედგენილობის თავისებურებებით უნდა იყოს განპირობებული. კერძოდ, ის ფაქტი, რომ ცხრილის ოთხი სინჯიდან რკინა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია და თანაც ადრეული პერიოდის ანალიზით არის გამოვლენილი, სულაც არ ნიშნავს, რომ თანამედროვე ანალიზებით მისი შემცველობა თბილისის თერმულ წყლებში არ ფიქსირდება. უცნობი ანალიტიკოსის მონაცემები რომ რეალურ ვითარებას ასახავს, ეს დასტურდება რ. კუპცისის მონაცემებით, რომელთა თანახმად თბილისის 9 აბანოდან ოთხის წყალი რკინას შეიცავს რკინის კარბონატის ან სულფატის სახით –[4].

მოულოდნელი არ არის არც ის ფაქტი, რომ უცნობმა ანალიტიკოსმა წყალში კარბონატების არსებობა ვერ დაადასტურა, თბილისის ზოგიერთი წყალი ამ კომპონენტს არ შეიცავს და შორს რომ არ წავიდეთ, ამის კონკრეტულ მაგალითად ცხრილში 1 მესამე ჭაბურღილი შეიძლება იქნას დასახელებული. უფრო დამაფიქრებელია როტიეს კომპონენტების სიაში ისეთი კომპონენტების მოუხსენებლობა, როგორცაა  $H_2S+HS^-$ . არ არის გამორიცხული, რომ სინჯში  $HS^-$ -ის მცირე რაოდენობის გამო მისი ფიქსირება ვერ მოხერხდა, ხოლო რაც შეეხება თავისუფალ გოგირდწყალბადს, სავარაუდოდ მისი მონაცემების მოტანა როტიეს ან გამორჩა, ან საერთოდ ამ ნაერთის ანალიზი უცნობმა მკვლევარმა არ ჩაატარა.

გ. აბიხი როტიეს სიით სარგებლობისას საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეს სია აქროლადი ნაწილების იგნორირების გამო ამ ნაწილების გარეშე არის მოტანილი [5].

წარმოდგენილი ცხრილიდან ნათლად ჩანს აგრეთვე, რომ თბილისის წყლები თანამედროვე მონაცემებთან შედარებისას საერთო მინერალიზაციის დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. მე-3, მე-4 და მე-5 სვეტის ნიმუშებში მინერალიზაცია საგრძნობლად ჭარბობს მე-2 სვეტის ნიმუშს. როტიეს თანახმად საანალიზო წყლის 100 ფუნტი არააქროლადი შემადგენელ ნაწილების მხოლოდ 122 გრანს შეიცავს, რომელიც მგ/ლ-ში 183 მგ/ლ-ი ტოლ რიცხვით სიდიდეს შეესაბამება. ის საგრძნობლად ჩამორჩება თანამედროვე ანალიზებით მიღებულ მონაცემებს, რომლებიც 302-685 მგ/ლ-ის ფარგლებში მერყეობს.

მიუხედავად ამისა, ეს მონაცემი სანდობის თვალსაზრისით დაეჭვების საბაბს არ იძლევა, ვინაიდან ფაქტობრივად იგივე შედეგი მიიღო ცნობილმა ფიზიკოსმა ფრიდრიხ პაროტმაც.

1829 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში პაროტი აღნიშნავს, რომ მისი გამოკვლევის თანახმად 100 ფუნტი თბილისის თერმული წყალი, რომლის სვედრითი წონა 1,00022-ს შეადგენს, დისტილირებულ წყალზე 128 გრანით მძიმე აღმოჩნდა. ე.ი. თერმული წყლის საერთო მინერალიზაციის მაჩვენებლად პაროტმა 6 გრანით განსხვავებული და მამსაღამე, ფაქტობრივად იგივე რიცხვითი სიდიდე დააფიქსირა, რაც როტიეს ნაშრომში მოხსენებულმა უცნობმა ანალიტიკოსმა (6 გრანით განსხვავება კიდევ უფრო უმნიშვნელო ჩანს მისი გრამებში გადაყვანისას, სადაც ის 1 ლიტრზე გადათვლით 9 მილიგრამს ანუ 0,009 გრამს შეესაბამება). ამ თანხვდენის გათვალისწინებით უცნობი ანალიტიკოსის მიერ ჩატარებულ სამუშაოს მოგვიანებით მაღალი შეფასება მისცა გამოჩენილმა გეოლოგმა გ. აბიხმა (1806-1886 წ.წ.), რომელიც 1870 წელს სათავეში ჩაუდგა თბილისის წყლების შემსწავლელი კომისიის მუშაობას და საფუძველი ჩაუყარა ამ წყლების სისტემატურ მეცნიერულ გამოკვლევებს. კომისიის

ანგარიშში ის საგანგებოდ ხაზს უსვამდა, რომ “Это определение получает особенное значение вследствие близкого совпадения с результатом анализа, сделанного еще во времена Паррота, по которому в 100 фунтов Тифлисской минеральной воды должно содержаться только 122 грана нелетучих составных частей”[5].

გ. აბიხი უცნობი ანალიტიკოსის სამუშაოს მარტო მაღალი შეფასებით კი არ შემოიფარგლა, არამედ ის თავის ანგარიშშიც გამოიყენა, როგორც თბილისის თერმული წყლის ქიმიური შედგენილობის იმ დროისათვის ერთადერთი და თანაც სანდო მახასიათებელი. აქედან გამომდინარე, როტიეს მონაცემები უდაოდ ქიმიის ისტორიკოსების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ, როგორც თავისი დროისათვის მაღალკვალიფიციურად შესრულებული გამოკვლევის შედეგები. აღნიშნული გამოკვლევა იმ მხრივაც იმსახურებს ყურადღებას, რომ ის ქრონოლოგიურად იმ პირველ სამუშაოს წარმოადგენდა, რომელიც თბილისის თერმული წყლის შედგენილობის განსაზღვრას რაოდენობრივი ანალიზის საშუალებით ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, უდაოდ საინტერესო უნდა იყოს ამ ანალიზის შესრულების ზუსტი თარიღის დადგენა, ვინაიდან როტიესთან დაკავშირებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ასეთ თარიღად არ შეიძლება იქნას მიჩნეული 1829 წელი, როდესაც მისი ნაშრომი დაიბეჭდა.

ჭეშმარიტი თარიღის დასადგენად უნდა გაითვალისწინოთ ის წლები, როდესაც როტიე ცხოვრობდა საქართველოში და როდესაც გამოქვეყნდა მისი ნაშრომები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისის ღვიზის შტაბის უფროსად ის 1811-1818 წ.წ. მუშობდა, რაც შეეხება ნაშრომებს, პირველი „ჩანაწერები საქართველოში“ მან გამოსცა 1815 წელს, როდესაც ჯერ კიდევ თბილისში იმყოფებოდა, მეორე ნაშრომი - „თბილისიდან კონსტანტინეპოლამდე მოგზაურობის გზა მკვლევარი“ გამოვიდა 1829 წელს, როდესაც ავტორი უკვე დიდი ხნის წინ (11 წლის წინ) წამოსული იყო საქართველოდან.

პირველ ნაშრომში თბილისის თერმული წყლის ქიმიური შედგენილობა საერთოდ არ მოიხსენიება, რაც იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ 1815 წლამდე ასეთ მასალებს როტიე არ ფლობდა. ამიტომ ანალიზის ჩატარების თარიღის ქვედა ზღვარი უდაოდ 1815 წელი უნდა იქნას მიღებული. რაც შეეხება ზედა ზღვარს, მის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როტიეს თბილისში ცხოვრების ბოლო წლებს. ცხადია, რომ თბილისის თერმული წყლის ანალიზის შედეგები მას უშუალოდ უნდა მიეღო უცნობი ანალიტიკოსისაგან და ძნელი დასაჯერებელია (და გამორიცხულიცაა) რომ მისთვის ეს შედეგები საქართველოდან წასვლის შემდეგ გადაეზაუნათ. ასე რომ, ანალიზის ჩატარების თარიღად ვგულისხმობთ როტიეს თბილისში ცხოვრების პერიოდს, ე.ი. 1818 წელი უნდა მივიჩნიოთ.

განხილული მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თბილისის თერმული წყლების ქრონოლოგიურად პირველი რაოდენობრივი ანალიზის მეთოდით გამოკვლევას ადგილი ჰქონდა 1815-1819 წლების ინტერვალში.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Хидашели Л.В., Чагунава Р.В., Гахокидзе Р.А., Шенгелия Р.М.* Об истории первого химического анализа Тбилисских термальных вод. Georgian Eng. News, 2001, No 4.
2. Par le colonel Rottiers. Itireraire de Tiflis a Constantinopole. Bruxelles, 1829.
3. *Чихелидзе С.С.* Природные ресурсы Грузинской ССР. Т. III. Москва: изд-во АН СССР, 1961, с. 321, 343.
4. *Кутцис Р.Д.* Краткий обзор минеральных вод и лечебных грязей Грузии. НКЗ ССР Грузии, 1925, с. 83.
5. *Абих Г.* Отчет комиссии, назначенной для исследования Тифлисских минеральных источников. Тифлис, 1870, с. 122.

#### FOR HISTORY OF TBILISI THERMAL WATER

Tamar Tsintsadze, Maia Rukhadze, Leila Khidasheli, Raul Chagunava  
Georgian Technical University

#### SUMMARY

The article devote for history of scientific study of Tbilisi mineral water. There has been shown, that the chronological quantitative analysis of thermal water has been done by unknown chemist 1815-1818 years.

#### ДЛЯ ИСТОРИИ АНАЛИЗА ТЕРМАЛЬНЫХ ВОД ТБИЛИСИ

Т.Г.Цинцадзе, М.В.Рухадзе, Л.В.Хидашели, Р.В.Чагунава  
Грузинский технический университет

#### РЕЗЮМЕ

Статья посвящается истории научного изучения Тбилисских термальных вод. Показано, что хронологически первый количественный анализ термальной воды был произведен неизвестным химиком в интервале 1815-1818 гг.

## ქიმიური ტერმინოლოგია

## ჰალოგენების ჟანგბადიანი მჟავების ქართული სახელწოდებების შესახებ

ციური რამიშვილი, ვლადიმერ ციციშვილი

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირის (IUPAC – International Union of Pure and Applied Chemistry) რეკომენდაციით [1] ჰალოგენების ჟანგბადიანი მჟავების სახელწოდებები უნდა შეესაბამებოდეს ნორმებს, რომლებიც მოტანილია ცხრილში 1. ქართულენოვან ქიმიურ ლიტერატურაში ქლორის, ბრომისა და იოდის ჟანგბადიანი მჟავების ზოგიერთი დამკვიდრებული სახელწოდება, როგორც ჩანს, რუსული ექვივალენტის შესაბამისად არის წარმოქმნილი (ცხრილი 2) და ის არ შეესაბამება IUPAC-ის მიერ ზემოთ აღნიშნულ ნორმებს; კერძოდ, ეს ეხება ჰალოგენ(V)- და ჰალოგენ(VII)-მჟავების სახელწოდებებს.

ცხრილი 1. ჰალოგენების ჟანგბადიანი მჟავების ტრივიალური სახელწოდებები დაშვებული IUPAC-ის მიერ [1]

მჟავას ზოგადი ფორმულა	სახელწოდება IUPAC-ის მიხედვით	
	ინგლისურად	გერმანულად
HXO	Hypohalogenous Acid	Hypohalogenige Säure
HXO <sub>2</sub>	Halogenous Acid	Halogenige Säure
HXO <sub>3</sub>	Halogenic Acid	Halogen Säure
HXO <sub>4</sub>	Perhalogenic Acid	Perhalogen Säure

ცხრილი 2. ჰალოგენების ჟანგბადიანი მჟავების ტრივიალური სახელწოდებები ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე

მჟავას ფორმულა	დამკვიდრებული ქართული სახელწოდება [2]	არსებული სახელწოდება		
		რუსული [3]	ინგლისური [1]	გერმანული[4]
HClO	ჰიპოქლოროვანი მჟავა	Хлорноватистая кислота	Hypochlorous acid	Hypochlorige Säure (Unterchlorige Säure)
HClO <sub>2</sub>	ქლოროვანი მჟავა	Хлористая кислота	Chlorous acid	Chlorige Säure
HClO <sub>3</sub>	ჰიპოქლორმჟავა	Хлорноватая кислота	Chloric acid	Chlorsäure
HClO <sub>4</sub>	ქლორმჟავა	Хлорная кислота	Perchloric acid	Perchlorsäure <sup>b</sup> (Überchlorsäure)
HBrO	ჰიპობრომვანი მჟავა	Бромноватистая кислота (гипобромистая кислота)	Hypobromous acid	Hypobromige Säure
HBrO <sub>2</sub>	ბრომვანი მჟავა*	Бромистая кислота	(Bromous acid) <sup>a</sup>	Bromige Säure
HBrO <sub>3</sub>	ჰიპობრომმჟავა	Бромноватая кислота	Bromic acid	Bromsäure
HBrO <sub>4</sub>	ბრომმჟავა*	Бромная кислота	Perbromic acid	Perbromsäure
HOI	ჰიპოიოდვანი მჟავა*	Йодноватистая кислота	Hypoiodous acid	Hypoiodige Säure
HOI <sub>2</sub>	იოდვანი მჟავა	Йодистая кислота	(Iodous acid) <sup>a</sup>	Iodige Säure
HOI <sub>3</sub>	ჰიპოიოდმჟავა	Йодноватая кислота	Iodic acid	Iodsäure <sup>b</sup>
HOI <sub>4</sub>	იოდმჟავა, მეტაიოდმჟავა*	Йодная кислота (метайодная кислота)	Metaperiodic acid	Metaperiodsäure <sup>b</sup>
HO <sub>4</sub> ·2H <sub>2</sub> O (H <sub>5</sub> IO <sub>6</sub> )	ორთოიოდმჟავა*	Ортойодная кислота	Orthoperiodic acid	Ortoperiodsäure <sup>b</sup>
3HOI <sub>4</sub> ·2H <sub>2</sub> O (H <sub>7</sub> I <sub>3</sub> O <sub>14</sub> )	ტრიიოდმჟავა*	Трийодная кислота	Triperiodic acid	Triperiodsäure <sup>b</sup>
(HOI <sub>4</sub> ) <sub>n</sub>	პოლიიოდმჟავა*	Полийодная кислота	Polyperiodic acid	Poliperiodsäure

<sup>a</sup> არსებობს მხოლოდ მათი შესაბამისი მარილები; <sup>b</sup> სუფთა, უწყლო მჟავას ფორმით იზოლირებადი.

\* არ არის შეტანილი [2]-ში.

აღნიშნულის თანახმად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ჰალოგენ(V)- და ჰალოგენ(VII)-მჟავების სახელწოდებები ქართულ ენაზე შეესაბამებოდეს თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირის რეკომენდაციას და იკითხებოდეს შემდეგნაირად:

მჟავას ფორმულა	IUPAC-ის შესატყვისი ქართული სახელწოდება	შესაბამისი მარილების არსებული სახელწოდებები
HClO <sub>3</sub>	ქლორმჟავა	ქლორატი
HClO <sub>4</sub>	პერქლორმჟავა	პერქლორატი
HBrO <sub>3</sub>	ბრომმჟავა	ბრომატი
HBrO <sub>4</sub>	პერბრომმჟავა	პერბრომატი
HIO <sub>3</sub>	იოდმჟავა	იოდატი
HIO <sub>4</sub>	პერიოდმჟავა (მეტაპერიოდმჟავა)	პერიოდატი (მეტაპერიოდატი)
H <sub>5</sub> I <sub>6</sub>	ორთოპერიოდმჟავა	ორთოპერიოდატი
H <sub>7</sub> I <sub>3</sub> O <sub>14</sub>	ტრიპერიოდმჟავა	ტრიპერიოდატი
(HIO <sub>4</sub> ) <sub>n</sub>	პოლიპერიოდმჟავა	პოლიპერიოდატი

ასეთ შემთხვევაში აღდება სრული შესაბამისობა ჰალოგენ(V)- და ჰალოგენ(VII)-მჟავების სახელწოდების ქართულენოვან გამოსახულებასა და ქიმიური ნომენკლატურის საერთაშორისო მოთხოვნებს შორის.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Nomenclature of Inorganic Chemistry. IUPAC Recommendations 2005. N.G.Connelly, T.Damhus, R.M.Hartshorn, A.T.Huttor. The Royal Society of Chemistry. IR 1.6.7 and IR 8. ISBN 0 85404 438 83. [http://www.Google.de IUPAC Nomenclature \(Chemie\)](http://www.Google.de IUPAC Nomenclature (Chemie)).
2. ოთხენოვანი ქიმიური ლექსიკონი. თბილისი.: “უნივერსალი”, 2004, გვ. 447.
3. Химическая энциклопедия. Т. 1-5. Москва: “Советская энциклопедия”, 1988.
4. *Holleman A.Fr., Wiberg N.* Lehrbuch der Anorganischen Chemie. 102 Auflage. Berlin: Walter de Gruyter (WdG), 2007, s. 2149.

#### ABOUT GEORGIAN NAMES FOR OXIGEN ACIDS OF HALOGENS

Tsiuri Ramishvili, Vladimer Tsitsishvili  
*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry*

#### SUMMARY

Discrepancy of Georgian names for oxygen acids of halogens, in particular, for halogen(V)- and halogen(VII)-acid's names with recommendations of IUPAC, the International Union of Pure and Applied Chemistry, has been shown, and corresponding correct names in Georgian have been proposed for such acids.

#### О ГРУЗИНСКИХ НАЗВАНИЯХ КИСЛОРОДНЫХ КИСЛОТ ГАЛОГЕНОВ

Ц.М.Рамишвили, В.Г.Цицишвили  
*Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили*

#### РЕЗЮМЕ

Показано, что грузинские названия некоторых кислородных кислот галогенов, в частности галоген(V)- и галоген(VII)-кислот, не соответствуют рекомендациям Международного союза общей и прикладной химии, в связи с чем предложены соответствующие названия для этих кислот.

## ინფორმაცია ავტორებისათვის

ჟურნალი “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია” აქვეყნებს სტატიებს ქიმიური მეცნიერების დარგში ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; მიმოხილვებისა და ინფორმაციული ხასიათის მასალების წარმოდგენა შესაძლებელია სარედაქციო კოლეგიასთან შეთანხმებით. გამოსაქვეყნებელი მასალის მოცულობა, ფორმატი და მისი წარმოდგენის სხვა პირობები შეთანხმებული უნდა იყოს პასუხისმგებელ მდივანთან, ავტორებმა ტექსტი უნდა წარმოადგინონ ელექტრონულ ფორმაში, Microsoft Word ფაილის (\*.doc ან \*.rtf) სახით, ნახაზები და სურათები – შავ-თეთრი გრაფიკული (\*.bmp, \*.dib, \*.jpg, \*.gif და სხვ.) ფაილების სახით. სამეცნიერო სტატიების ავტორების დასახმარებლად რედაქციის მიერ გათვალისწინებულია როგორც სტანდარტული ელექტრონული ფორმატები სამივე ენაზე, ისე სხვა ტექნიკური მომსახურება. ავტორების შეკვეთით, გამოქვეყნებული სტატიების გავრცელებისათვის შესაძლებელია როგორც ქალაქში ამობეჭდილი ასლების, ისე ელექტრონული პოსტისათვის მისაღები ფორმების (\*.doc, \*.rtf, \*.pdf და სხვ.) მომზადება.

## INFORMATION for AUTHORS

The journal “**Proceedings of the Georgian National Academy of Sciences. Chemical series**” is publishing articles in a field of chemical sciences in Georgian, English, and Russian, reviews and informational/advertising materials may be submitted after consultations with the Editorial Board. Volume, format, and other details of contribution are to be discussed with the Executive Secretary; Authors submit texts of articles in a form of Microsoft Word files (\*.doc or \*.rtf), figures and pictures – as monochrome (\*.bmp, \*.dib) or black/white (\*.jpg, \*.gif, etc.) files. To help Authors of scientific articles, standard Georgian, English, and Russian formats are provided as well as other technical service and support. According to authors order, hard paper copies as well as any suitable for e-mailing forms (\*.doc, \*.rtf, \*.pdf, etc.) of published articles are prepared.

## ИНФОРМАЦИЯ ДЛЯ АВТОРОВ

Журнал "Известия Национальной Академии наук Грузии. Серия химическая" публикует статьи и краткие сообщения в области химических наук на грузинском, английском и русском языках; обзорные статьи и материалы информационного характера публикуются по предварительному согласованию с редакционной коллегией. Объем, формат и условия представления материала для публикации следует согласовать с ответственным секретарем; авторы должны представить тексты в виде файлов Microsoft Word (\*.doc или \*.rtf), а рисунки, чертежи и фотоснимки – в виде черно-белых графических (\*.bmp, \*.dib, \*.jpg, \*.gif и др.) файлов. Для оказания помощи авторам научных статей, редакция предусматривает стандартные электронные формы на всех трех языках, а также другую техническую поддержку. По заказу авторов, для распространения опубликованных статей, по договоренности могут быть подготовлены как копии на бумаге, так и в любой пригодной для электронной почты форме (\*.doc, \*.rtf, \*.pdf и др.).